The students of International Affairs and especially those who are concerned with prevention of bolshevist agression will undoubtedly find in this book many inspirations and suggestions for their activity to secure freedom in the World.

Author of the Book, Mr. Constantine Kandelaki, economist and highly respected Georgian Statesman, former Minister of Finance in the National Government of Georgia, is living now in France, in exile.

I.J. Goldman

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

რედაქციისაგან

ვიწყებთ საკუთარი პერიოდული ორგანოს გამოცემას და იმედი გვაქვს, რომ იგი იქნება რიგითი ჩვენი, ისე საზოგადოებრივი აზრის სწორი, მიუდგომელი და სინდისიერი გამომხატველი ქართული საქმის ერთგული მეუნჯე და საქართველოს დამოუკიდებლობის იდეების დაუღალავი მქადაგებელი!

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჩვენი ორგანიზაციის საინფორმაციო ბიულეტინის პირველ ნომერს - „ცნობის ფურცელს", - ეს პირველი არის პირველი ნაბეჭდი, თუმცა არა სტამბური, ქართული პერიოდული ორგანო, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოცემული.

უნდა ვთქვათ, რომ იდეალი ურთიერთობა მაინც გვიკვირს, რომ ამდენი ცივილიზაციის ჩვენს ეპოქაში არა-სრულყოფილი წესით გვიხდება ჩვენი პირველის ხელში ჩაგდება, მაგრამ უკეთესი მომავლის იმედით გამხნევებული არ ვიშლით. ვიცით ჩვენს სახელოვან შირეულ წინაპრებს, რომელსაც საქართველოში სტამბა ჯერ არ არსებობდა, რომელსაც ქართველი გადამწერლები სანთლის მკრთალ შუქზე, ან ცეცხლის იღლე, ან მზის სინათლეზე სწერდნენ ქართველ მეუნიერთა მაღალ აზრებს, შოთას ვეფხვის ტყაოსანს, საქართველოს ცხოვრების მატიანეებს, წმინდა სახარებას და სამოციქულოს, დაბადებას და კარაბადინს...

გვაგონდება ქართული ბეჭდვითი სიტყვის ბედი მე-18-ე საუკუნეში, როდესაც ვახტანგ მეექვსემ ქართული სტამბის დაარსებით 1709 წელს მიახერხა ნამდვილი რევოლუცია, მაგრამ ბეჭდვითი ხელოვნება მაინც იმდენად ნელი და სუსტი ნაბიჯით ვითარდებოდა, რომ კალიგრაფია კიდევ დიდი მნიშვნელობის დარგად რჩებოდა.

ვიხსენებთ ქართული პრესის ბედს მეცხრამეტე საუკუნეში, როდესაც ქართველი მამულიშვილები უმძიმეს და ქართველი ერის ცხოვრების მეტად რთულ ხანაში თავიანთს ძალოვნებს არ ეშურებოდნენ ქართული პრესის სამსახურისათვის. ვიცით რაოდენი სიძნელეების დაძლევა უხდებოდა ქართველ თაობათა რამოდენიმე წლებას პირნათ-მაჭეთა მარიამისათვის და მაინც ატარებდნენ დასაბუთებულ მიზანს. ვიცით თვით რამოდენობა პირნათ-მაჭეთებისა, რომელთა რიცხვი რამოდენიმე ას ცალსაც კი არ აღემატებოდა! მაგრამ წინსვლისა განვითარების სული ქართველ მამულიშვილებს არასდეს არ ჩაქრობიათ და ამ უშრეტმა სულმა ისინი ბოლოს ბრწყინვალე შედეგებამდე მიიყვანა. მოწინავე თაობები ხშირად თავიანთს აზრებს ხელთნაწერი კრებულებით ხელიდან ხელში გადაცემით ავრცელებდნენ...

ყოველივე ამით გამხნევებული ვებედავთ ჩვენი მცირედი ღვაწლის შეტანას ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და საერთო ფერხულში ვებმებით...

ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებს დღეს დიდი საქმეები მისი აქვს დაკისრებული. ამ მისიას იგი ჯერჯერობით კარგად ასრულებს და საერთაშორისო პოლიტიკას საკმაო წინიერებით მიუძღვის - თავის მებიბრებთან და მოკავშირეებთან ერთად. საერთაშორისო მდგომარეობა თავისუფალ ~~ქვეყნებს~~ და მის წინამძღოლ ქვეყნებს ახლა ბევრ

მოგვრიან

საბუთისხმი მიმენტებზე მიუთითებს.

ასეთს გარემოებაში შეერთებულ შტატებში მცხოვრებ ქართველობას თავისი მოვალეობა აწევს.სწორედ აქ, ამ ქვეყანაში, არის საჭირო ქართული საკითხის გონიერი დაყენება და მისი შესაფერი მზრუნველობა.სწორედ ახლა არის საჭირო ქართველმა ემიგრაციამ გააცნოს აქტიური მუშაობა,გამოიჩინოს მამულისადმი სიყვარული,გამჭრიახობა,მიმტკიცება.. ახლა არის საჭირო ერთობა,მოქიანობა,ერთი საერთო სამოქმედო გეგმის დასახვა და საერთო ხაზის მიცემა. ახლა არის საჭირო ერთული დისციპლინის შეწნეული და მტკიცე დაცვა!

მაგრამ, თქმა ადვილია..მოწოდებისა და ბრძოლის ყიჟინის ატეხა იოლი არის! ამაზე ფრაზებს იმეორებს და იმეორებდა ბევრი.. მაგრამ კეთდებოდა და კეთდება ცოტა! საქმეა თვით ბრძოლა! დაპირების აღსრულება,სიტყვის საქმედ ქცევა!

შეერთებული შტატების ქართველობამ,სამწუხაროდ,ვერ გამოიჩინა საჭირო ფხიანობა და საქმე სათანადო დონეზე ვერ დააყენა,- თუმცა რამოდენიმეჯერ სცადა. ის მოვლენა,რომ „ამერიკის ხმასთან“ ქართული განყოფილება არსებობს,ქართული ემიგრაციის აქტივობას არ მიეწერება, არც მისი წამოწყება ყოფილა. ამის თაისანი იყო თვით შეერთებული შტატები! ქართველები ამ საქმეში პირველებად არიან გამოყენებული და,-როგორც მოხელენი,- ამერიკის სახელმწიფო სამსახურში ითვლებიან. თვით აქაურმა ქართველობამ კი ქართული საკითხის წინ წაწევისათვის დღემდე ცოტა რამ გააკეთა და,-შეიძლება ითქვას,-ამ მხრივ სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ემიგრანტებს ძალზე ჩამორჩა.

რატომ,რა არის ამის მიზეზი?!

1948 წლამდე ამერიკაში მცხოვრებ ქართველთა რიცხვი არ აღემატებოდა რამოდენიმე ათეულს. მათ შორის პოლიტიკურ მოღვაწეთა რიცხვი ორი-სამი პიროვნებით თუ განისაზღვრებოდა,და ისინიც აქტიური მოქმედების შესაძლებლობას და ნიადაგს მოკლებულნი იყვნენ. 1926 წელს განსვენებულმა ვასილ დუმბაძემ შეერთებული შტატების კონგრესის საგარეო საქმეთა კომიტეტში დააყენა საქართველოს საერთაშორისო უფლებისა და მისი დამოუკიდებლობის საკითხი,რომელიც კონგრესმა იმავე წლის 1-2 აპრილს განიხილა,გამოსცა წიგნიც, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება კონგრესმა მაინც ვერ გამოიტანა. ხოლო,რაც შეეხება ვასილ დუმბაძის ღვაწლს,-ეს ღვაწლი დიდი და სასიქადულოა,მაგრამ ჩვენდა სავაროდ ამის შემდეგ არავითარ ცდას,არც თვით განსვენებულისაგან და არც სხვათაგან,აღმოჩენილი არ ჰქონია.როგორც ვთქვით, ამისათვის ნიადაგიც არ არსებობდა!

აქაურ ქართველთა შორის მოიპოვებოდნენ საზოგადო და კულტურული მოღვაწენი,რომელთაც 1931 წელს დაარსეს ქართული სათვისტომო. სათვისტომო პოლიტიკას ხელს არ ჰკიდებდა,კმაყოფილდებოდა საზოგადო,კულტურული და საქველმოქმედო საქმიანობით.ქართველთა უმეტესი ნაწილი მაინც თავის საქმეს

„ბიზნესს“ მისდევდა და სრულიად ჩამოშორებული იყო სხვა საქმიანობას.ასეთი სურათი არსებობდა მრავალი წლების განმავლობაში.

1948 წლიდან სურათი იცვლება. შეერთებულ შტატებში გადმოსახლების უფლება მიიღო დაახლოებით ორასმა ქართველმა. თუ ყველა არა, ბევრისთვის დიდი უმრავლესობა ევროპაში პოლიტიკური მოღვაწეობით ცნობილი იყო... სამწუხაროდ ბევრი მათგანი განსაკუთრებული ღრმნობებით და წინასწარი განწყობით მოადგა ამერიკის ნაკლოვანებებს,შეერთებულ შტატებში ქართული საკითხი „უპატრონო ეკლესიად“ წარმოედგინა და უკვე თავიდანვე იმ განწყობით მოიქცევდა აქაურობას,რომ ამ უპატრონო ეკლესიას თვით ,ანუ მისი „ჯგუფი“ დაპატრონებოდა.ახალმა გამოსულებმა თან ჩამოიტანეს დიდი ენერგია, დინამიზმი,ერთგვარი ენთუზიაზმიც კი,სურვილი,მხნეობა,გამოცდილება და ნიჭი,მაგრამ,სამწუხაროდ,თანვე მოაყოლეს იქაურობის განმავლობაში,უსამშობლობაში,შეძენილი მრავალი უარყოფითი თვისებებიც: ინტრიგა,დემაგოგია,ენატანიობა და ჯირაობა,განცდებისაკენ მისწრაფება და სხვა. შეირყა მანამდე მშვიდი ცხოვრება შ.შტატების ქართველთა!აღელდა,აჭვირვა ირას სამას კაცამდე გაზრდილი სათვისტომო.გაიშალა რაღაც საკვირველი ბრძოლა. რამდენადაც ნათელი იყო ამერიკის ცხოვრება თანამედროვე საერთაშორისო ვითარებაში,იმდენად ბნელი იყო ახალჩამოსულთა ბრძოლა „სადავეების ხელში აღებისათვის“: ამ მიზნით იბრძოდნენ ცალკეული პიროვნებები,ჯგუფები. ემიგრაცია დანაწილდა არა მარტო წვრილ-წვრილ პოლიტიკურ ჯგუფებად და მიმდინარეობებად,არამედ ოჯახურ და ნათესაურ ჯგუფებადაც-კი! გამოჩნდნენ ახალი და უცნაური მითების შემთხზველნი: ავტორიტეტისა,სახელისა და განდიდებისათვის ეს ე.წ.მითის მქმნელები ცალკე ამაღლებდნენ თავიანთს „ბედაურს“ და „სხვისას“ უფსკრულში ისროდნენ.ემხრობოდნენ შესულმა „მებრძოლებმა“ მიდად დაკარგეს ღიმილნება,სინდისი და ზრდილობა. მათი „საქმიანობით“ ამერიკის იდეალად წყნარი სათვისტომო გარდაქმნეს მონასტერს და უპატრონო ეკლესიას დაემსგავსა! საბოლოოდ ფეხი მოიკიდა თვით ტომობრივმა განკერძოებამ და ერთანეთისადმი მისისინებამ,ამ მეტად სამარცხვინო და საყვედო სენმა!

ვეკრძალვით ამ საგანზე მეტს საუბარს! ვიტყვით მხოლოდ,რომ ეს იყო მიზეზი იმისა,თუ რატომ ჩამორჩა შ.შტატების ქართველობა ქართული საქმის წარმართვაში სხვა ქვეყნებში მოღვაწე ქართველობას.

ასეთი უცნაური სურათის მხილველმა ერთმა ნაბიჯმა ქართველობისამ დაარსა „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭო“,გამოეყო შექმნილ ქაოსსა და ანარქიას,შემოიკრიბა თანამოაზრენი და შეუდგა მუშაობას.

გამოეყო ანარქიას და ქაოსს ეს ორგანიზაცია არა იმიტომ,რომ თვითონ იჭერას სადავეები ქართული პოლიტიკისა,ანუ მის სათავეში ჩადგეს,-არამედ იმიტომ რომ იმუშაოს და აღასრულოს თავისი წმინდა მოვალეობა დაჭირვებული სამშობლოს წინაშე! ამ მიზანს უნდა ემსახუროს ჩვენი კრებული,-მიზანს,რომელიც მკაფიოდ ჩამოყალიბებულია მის მოწინავე წერილში:

დღეს უკვე ყველა ნათლად ხედავს და გრძნობს, რომ კაცობრიობა უმუაღლეს უახლოვდება იმ ღიმ მოვლენებს, რომელნიც მსოფლიოს დღევანდელ არსებობას ძირითადად გარდაქმნიან და მას ახალ საფუძვლებზე დაამყარებენ.

ყველა ჩვენგანმა უმუაღლეს ანიჭადა ასეთი ორი ღიმამორბედი მოვლენა და მათგან გამოწვეული ტრაგედია. ყველამ კარგად იცის, რომ მეცამე ასეთი ქარიშხალის ძალა გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე ყველა აქამდე მოხდარი მოვლენებისა, ერთად...

ყოველი ერი და სახელმწიფო მთელი ძალით იკრებს ყველა თავის ძალებს და გულმოდგინე ემზადება სახიფათო მომავლის დასახვედრად. ვერც ქართველი ერი აცდენს თავიდან ამ მომავლის სიმძიმეს. ეს გარემოება ყოველი ქართველისაგან მოითხოვს გააკეთოს ყველაფერი, რაც ჩვენი ერის ძალთა მეცაკრებად და გასამაგრებლად არის საჭირო.

თვით საქართველო დაკვირვების არის უცხო სახელმწიფოს მიერ ქვის გამო მისი მეცაძლებლობანი ყოველმხრივ არის შეზღუდული. ამიტომ, ყველაფერი, რის გაკეთებაც შეუძლებელია საქართველოში, - უნდა გააკეთოს მისმა ემიგრაციამ უცხოეთში.

აქედან, ქართული ემიგრაციის ღინაშე თავისთავად ისმება ამოცანა: სახიფათო მომავალს შეხვდეს გაერთიანებული და გამაგრებული რიგებით.

თეორიულად ყველა ეთანხმება საქმის ამგვარად დაყენების აუცილებლობას. ამასვე ღაღადებენ ყველა ისინიც კი, ვინც თითონვე აქტიკურად ანგრევენ ქართული ემიგრაციის გაერთიანების საქმეს.

რა პრაქტიკული საშუალებანი არსებობენ დღეს ქართული ემიგრაციის პოლიტიკური გაერთიანებისათვის?!

ამისათვის არსებობს მხოლოდ ერთი გზა და საშუალება: ქართულ ერივნულ საკითხში უნდა მიხვეს ყველა პასუხისმგებელი ძველი პოლიტიკური პარტიებისა და მათი მეთაურების მოქმედების გაერთიანება. გაერთიანებული მოქმედება კი უნდა დაეყრდნოს საქართველოს ცნობილ სუვერენულ უფლებებს და ემიგრაციაში მყოფ საქართველოს კანონიერ მთავრობას.

ნამდვილი და ყურადსაღები დაბრკოლებანი, რომელიც შეიძლება ამ საკითხს წინ ეღობებოდეს, - არ არსებობენ. დღეს, ემიგრაციაში, საერთო ქართული პოლიტიკის წინაშე არავის არც ერთი შინაგანი პოლიტიკის ხასიათის საკითხი. ესე იგი პოლიტიკის იმ დარგის საკითხი, რომელიც, სინამდვილეში, პარტიათა ნორმალური განსხვავების საგანს და წარმოადგენს.

მინდაც რომ შინაგანი პოლიტიკის საკითხები არსებობდნენ, ეს საკითხები არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენენ ემიგრაციის გადასაწყვეტ საგანს. შინაგანი პოლიტიკის საკითხები თვით ერმა უნდა გადასწყვიტოს თავისუფლების მოპოვების შემდეგ; მაგრამ საქმე სწორედ იმაშია, რომ ეს საკითხები არც კი არსებობენ დღესდღეობით!

სულ სხვაა საგარეო პოლიტიკის საკითხი. გამანთავისუფლებელი ბრძოლის პროცესში მყოფ ერს არა აქვს საგარეო საკითხის დაყენების შესაძლებლობა. ეს მხოლოდ მის პოლიტიკურ ემიგრაციას შეუძლია და მის ბუნებრივ დანიშნულებას წარმოადგენს. ასე ხდებოდა ყველა იმ ერის ისტორიაში, რომელიც გამანთავისუფლებელ ბრძოლას აწარმოებდა. ასეთივე პირობებში ვიმყოფებით ჩვენც. ამ საკითხში არავითარი განსხვავება და არჩევანი არ არსებობს. მთელი ქართული ემიგრაციის მიზანი საგარეო პოლიტიკაში ერთი და იგივეა, - სახელდობრ:

-სრული ეროვნული თავისუფლება და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა!

-მჭიდრო და მუდმივი თანაარსებობა მთამე კავკასიელ ერებთან, გამოყალიბებული რომელიმე მკვიდრი და ყველასათვის მისაღები პოლიტიკური ფორმით!

-მჭიდრო თანამშრომლობა ჩვენს მებრძოლებთან მყოფ, ყველა თანამებრძოლ ერებთან!

ზოგი პოლიტიკური მიღვაწე ერთს საკითხზე სწუხს და კითხულობს: „აქამდე ვერ მიხვედრა პარტიათა შეთანხმება; სანამდე უცადით მას?! ვისი ბრალია, რომ აქამდე ვერ მიხვედრა ეს შეთანხმება?“

ამის კონკრეტული მაგალითები და ამით გამოწვეული ბედის გაფუჭების შემთხვევანი, - ბევრია. რასაკვირველია საწყენია, რომ აქამდის არ მიხვედრა ქართული ემიგრაციის სრული პოლიტიკური გაერთიანება, მაგრამ ეს კატასტროფა არც წარმოადგენს! ეს ამავე დრის არ იძლევა იმის საბუთს, რომ ჯარსულში გაწეული ნაყოფიერი ძღვნით გათავდეს გამაერთიანებელი მოქმედება, ამაზედ იქნებს გარკვეული მთელი ეს საქმე და რომ შეჩვენების ამ წერტილიდან სხვა რაღაც ახალი და უცნაური ნახტომი ავიღოთ!

საქართველო და საქართველოსათვის მუშაობისა და მისი სამსახურისათვის თავდადების სურვილი ვერ მისჭკ, ვერ შესწყვიტა ჩვენს ხანგრძლივ და მეღვარე ისტორიაში არა ერთხელ და ორჯერ მომხდარმა კატასტროფამ: და რათ უნდა შესწყვიტოს იგი ერთმა, მორიგმა კატარა დაბრკოლებამ?!

გაერთიანება და გაერთიანებული ბრძოლა საქართველოს სრულ განთავისუფლებამდე! ამას უნდა ვეძიოთ ყოველთვის, მუდამ, განუწყვეტლივ; ათჯერ, ასჯერ, ათასჯერ, ვიდრე არ მივაღწევთ ჩვენს წმიდათა-წმინდა მიზანს!

ვისი ბრალია, რომ აქამდე არ მოხერხდა ეს შეთანხმება?! საკითხის ამგვარად დაყენება ღეს უადრია! არაბად ბრალია ყველა მომქმედ პირებისა; არაბად ბრალია იყო მიზნისა, - რომ ეს საკითხი სათანადოდ არ იყო მომწიფებული. უკეთ რომ ვთქვათ, ბრალი იყო ყველასი და არავისი, ვინაიდან არ ვიმყოფებოდით ისეთს სიახლოვეში სრული გამარჯვებისა ან სრული კატასტროფის წინაშე, როგორც ღეს! ამის გამო ყველა გაბედულ და მეღვარე ქართულ ჯგუფს თუ პარტიას, იმედი ჰქონდა, რომ საერთო მიზანს საკუთარი ძალებით მიაღწევდა!

ესაა ჩვენი სისუსტე: ესაა ჩვე-

ნი მარცხი, ესაა ჩვენი ძალა და ტრისება. დღეს სულ სხვა მდგომარეობაა. იგი საფუძვლიანად განსხვავდება წუშინდელისაგან და შეიძლება არაფრით არ ემსგავსებიდეს ხვალინდელს! დღეს ჩვენი ერის ამოცანა ერთად-ერთია, - მჭიდრო და მკვიდრად შეიკრას ქართული რიგები! ამ მეტად საჭირო საქმეში უკვე ვგვინდებით. უკვე დავგვინდით.. კავკასიის ერთა შორის მხოლოდ ჩვენია ვართ გაუერთიანებელნი. ამ საქმეში ქართული ემიგრაცია პირველად გამოდის უკანასკნელ ადგილას!

ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობა უფრო არეულია, ვიდრე ძველად დაკუთრებული სხვა რომელიმე ერისა. მაგალითად, ქართული ემიგრაციის მთელი დღევანდელი ამოცანა სულ ორ-სამ გამოთქმაში შეიძლება ჩამოყალიბდეს:

- საქართველოს სუვერენული უფლებების სრული გამოყენება.

- ინტერპარტიული, კარდამენტის ჩანასახი ირგვანისშექმნა ზემო არნიშნული უფლებათა მატარებელი საქართველოს კანონიერი, ერთვნული მთავრობის ირგვლივ.

მხოლოდ ამ სახით შექმნილ ირგანოს შეუძლია საქმის სათანადოდ წარმართვა, ნორმალური პოლიტიკური ურთიერთობის აყვანა შესაფერ და ნამდვილ საფეხურზედა მისი გაშლა ნაყოფიერ სარბიელზედ!

თუ ვერ მოხერხდა ამგვარი ირგანოს შექმნა, თუ ქართულმა პოლიტიკურმა პარტიებმა ვერ გამონახეს დროზედ საერთო ენა, - მაშინ ქართულ საკითხს მოებლაუჭება და მის ხელში ჩაგდებას შეეძლებიან უპასუხისმგებლო ელემენტები და სხვადასხვა სახელმწიფოა საგენტო სამსახურის ანარეკლი პიქები! ამგვარი ჯგუფისა და ცალკე პირების თარეშმა ქართულ საქმეს ერთხელ უკვე აუნაგრაურებელი ზიანი მიაყენა და ამის ხელმეორედ დაშვება ყოვლად შეუძლებელია. ქართული ერთვნული საკითხი უნდა იდგეს არა საგენტო დინებე, არამედ ღირსეულ პოლიტიკურ სავეხურზედ!

„საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭო“, რომელმა ქართული ემიგრაციის განუყოფელი ნაწილი, თავის მოვალეობად სთვლის საქართველოსათვის მებრძოლთა ამ რიგში ჩადგეს! ჩვენთვის თანაბრად ძვირფასი და დიდი მნიშვნელობის საუნჯეა ყოველი ქართული პოლიტიკური პარტია და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მომუშავე ქართული საქმის ყოველი დაჯგუფება.

დღეს ქართულ ემიგრაციაში არსებობს ორი ქართული პოლიტიკური ცენტრი. ჩვენ ამას არ უყურებთ, როგორც ქართული საქმის გაბზარვას და სამუდამო გაპობას. ჩვენ ამ მოვლენას უყურებთ, როგორც ორ, ცალცალკე დადგმულ ბურჯს, რომელზედაც ბოლოს ერთი ხიდი უნდა გაიდოს და რომელიც გააერთიანებს ჩვენს აწმყოს და თავისუფალ მომავალს!

„საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს“ წევრთა უდიდესი ნაწილი არც ერთს პოლიტიკურ პარტიას არ ეკუთვნის. მისი რიგები აერთიანებენ საქართველოსათვის ყველა სარბიელზედ მებრძოლთა რამოდენიმე თაობას.

მის შემადგენლობაში იმყოფებიან თვით მეცხრამეტე საუკუნის ჭაღარამოსილნი მებრძოლნი, საქართველოს იდეური განთიადისა და აღორძინების ხანიდან!

მის რიგებში დგანან 117 წლის მინიდან განთავისუფლებული და განახლებული საქართველოს მიერ აღზრდილი ქართული მხედრობის პირველი თაობის წარმომადგენლები. მის რიგებში დგანან ბოლშევიკების მიერ დაკარგობილი საქართველოს თავბანწირული აჯანყებისა და ოკუპანტების წინააღმდეგ წარმოებული ხანგრძლივი ბრძოლების მონაწილე ვაჟკაცნი!

ამავე რიგებში დგანან საქართველოსათვის მებრძოლთა სულ ახალი თაობის წარმომადგენლები, რომელთაც, ბრძოლის პირველ საყვირზედ და პირველი სამუალებისთანავე, ქართული რიგები მოხახეს და ამით განაგრძეს ჩვენი ერის მრავალ საუკუნიანი უკვდავი ტრადიცია საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლისა!

ყველა ამ ელემენტებს აერთიანებს ერთი მთლიანი და განუყოფელი საქართველოსათვის თავდანბირული ბრძოლის ტრადიცია. ყოველი მათგანი თავისი ბრძოლით ერთობლივ საქართველოს ემსახურება და არა მის ერთს რომელიმე ნაწილს, ერთს რომელიმე პარტიას! მათი ბრძოლა მთელი საქართველოს კუთვნილებას წარმოადგენს!

ახლო მომავალში, ქართველი ერის წინაშე, ისევე როგორც მთელი კაცობრიობის წინაშე, შეიძლება ახლად წამოიჭრას ისეთი საკითხი, რომელზედაც აუცილებელი იქნება ერთი ხასუხის გაცემა. ამიტომ აუცილებელია მიხვდეს გაერთიანება რაც შეიძლება მალე!

ამ მიზნით, ყველა ქართულ პოლიტიკურ პარტიას და ცალკე ჯგუფებს მოუწოდებთ გაერთიანებისაკენ! ხოლო სანამ ეს გაერთიანება მოხდება, - ვიმუშაოთ ყველა ქართულ პოლიტიკურ კერასთან, რომელიც საქართველოს სრული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის გზებზე!

ესაა ჩვენი გზა! სრულიად შეგნებული და კარგად გათვალისწინებული გვაქვს ყველა გადასალახავი დაბრკოლებები და სიძნელეები, რომელიც შეიძლება გადაგვეღობის, როგორც მინაშან ისე საგარეო სარბიელზედ! მაგრამ ამისათვის მზად ვართ! ამისი არც გვეშინია და არც გვერიდება, ამ სიძნელეებს არც არა სოდეს გავექცევით!

ვესარმებით უფლებამოსილ საქართველოს ერთვნულ მთავრობას, ვესარმებით ყველა ქართულ პოლიტიკურ პარტიას და საქართველოსათვის და მისი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მომუშავე ყველა ქართულ პიროვნულ დაჯგუფებას! ვესარმებით ჩვენს თანამოძმე კავკასიელ ერებს და ურყევი რწმენით აღვნიშნავთ, რომ საქართველოს თავისუფლების სიმტკიცის პირველ პირობად ვთვლით ყველა კავკასიელი ერის სრულ თავისუფლებას და მათს მეგობრულ, მჭიდრო თანაარსებობას მკვიდრად ჩამოყალიბებული რამე საერთო პოლიტიკური ფორმაციის სახით. საქართველოს თავისუფლებას ვერ ჩავთვლით მტკიცედ თუ ყველა კავკასიელი ერი არ იქნება თავისუფალი და თუ კავკასიის ბინად ერთი მტკაველი მიწა, რომელიც მე უცხო, არა-კავკასიელი, სახელმწიფოს ბატონობის ქვეშ დარჩება!

ვესარგებლით ჩვენი მიწინაარ-
მდეგის მიერ დაკარგული ყველა
ერს, რომელიც საქართველოს დღე-
ვანდელ პირობებში იმყოფება და
იმავე იდეისათვის იბრძვის! გვ-
წამს, რომ ამ ბრძოლას ერთად მი-
ვიყვანთ ჩვენი საერთო და საბო-
ლოო მიზნის განხორციელებამდე
ისევე, როგორც ერთად განვიცდით
ამ ბრძოლის ყველა მწვავე ეტა-
პებს!

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

ცოტა რამ დიდ საგანზე.

ვისაც კიდევ დიური კვების
ძიების გარეშე შერჩენია დრო და
მოცალეობა მაღალ საგნებზე ფიქ-
რისთვის, იმ უეჭველად შეამჩნევ-
და თავისთავს ერთგვარ გამობრძ
მედას, რამდენადმე სიბრძნის მი
მატებასაც.

იჩქმალება ბუნების საკუთარი
შეძენილი საფასენი ხელახლა ის-
ინჯებიან. მრავალი ათწლეული გა-
ფასდა, ხელიდან გაგვისხლტა. ბი-
ძიც შეუმჩნეველი, მცირე ღირებუ
ლებისა აქამდინ, - ამ ხანად ამა
ღლა, მე აიწია. მუშაობაა გაჩა
ღებული. კირველ შეხედვაზე ჩვენი
საზოგადოებრივი ცხოვრების სუ-
რათი - მიმქმედ ძალთა დაქსაქ-
სვა, შეხლა-შემოხლა, - ბუღს უმო-
ვრევს კაცს, მაგრამ ეს ხომ მაი
ნც სიცოცხლის ნიშანია. ბრძოლა
რომ არ ყოფილიყო, იქნებოდა ჭა-
ობი, მართლ ირჩნიდების მომას-
ჩავებელი. დაყოფისა და ბრძო-
ლისა კი არ უნდა გვეშინოდეს,
არამედ უნდა ვეძებოთ ეს ბრძოლა, ეს ჭიდილი
ჩავაყენოთ ჩვენს ქირობებში,
სათანადო არჩილში, დავუმირჩი-
ლით სინდისიერ კანონებს, ნამუ-
სიან მწე-ჩვეულებას. ამის მიჭი-
ცყება და შენდება მწარე ბედს
უქადის ჩვენს მომავალს. უნდა გა-
ვაცნობიერით ბურჟუაზიული ჭარსული,
უნდა აღმოვაჩინოთ მის სიღრმეში
ჭასაბრძოლებელი ადგილები, რომელ
ნიც ასე ურმიბად ხელყოფს გვიცა
რავენ და ისე შეუღწეთ ცხოვრების
ახალი რუკის შედგენას. ჩვენს მომ
დევნო ნორჩ ნაისანთ უნდა გაუად-
ვილოთ ცხოვრების ველებერთება იქვ
ანეში მარილი სვლა და მოქმედება.
უნდა დავივიწყოთ ყოველივე, რაც
გამოიმეველი და გამაფაროვებელია
და მივაქციოთ ყურადღება მას, რას
აც მივყევართ სამშობლოს ხსნასა
და ჭარმატებისაკენ.

ჩვენი ერი განსაკუთრებულ რთ
ულ პირობებშია ჩაყენებული, მეტად
საშიშ მდგომარეობაშია. თუ კი იმ
ერებს, რომელთაც დიდი ხანია ყვე
ლაფერი აქვთ გაწყობილი, საჭირო
საშუალებათა და იარაღთა არსება
ლი, საჯაბარი მომარაგებული, სა-
თანადო მომქმედ-მებრძოლთა კრებ
ული გონიერად მომზადებული; თუ
კი მათ თვალწინ მუდამ ურჩას თა
ვიანთი სამშობლოს საფრთხე, - ჩვენ
რომელთაც ჯერ იღლავ დავალებით
თავი მონურ ბორკილებს, რომ მერე
უარეს ყმობაში ჩავარდნილიყავით,
ჩვენ რაღა გვმართებს?!. თუ ბუღი
ჩვენი ბუღობს და ბუნება თავის
მოვალეობას გვისრულებს, სხვა, ჩვე
ნზე ბევრიც ხარხთა ცხოვრების
დაკვირვება, ბევრ ჭასაბაძ მაგა-
ლითებზე მიბჭითობებს.

მიმოვიხედოთ!..

განსაკუთრებულმა შეგნებამ და
ძალთა საიმარმა დაჭიმვამ ევრო-
პის შუაგულში მცხოვრებ დიდ ერს
გააჩარჯვებინა, როცა ყველას გვე-

ბუნა განსაცდელში ჩავარდა და
უფსკრულისაკენ მიისწრაფისო.
ასეთივე მაღალმუნიერება ემჩნე-
ვა დიდ ბრიტანეთს, სადაც სამშო-
ბლის - სახელმწიფოს გადარჩენას
ეწირება პირველება, პირადი რწმე
ნა, მეცნიერება, ყოველგვარი ჯგუ-
ფობრიობა. ასეთია სიმძლავრე და
უზენაესობა იმ დიდი გრძნობისა,
რომელსაც სამშობლოს სიყვარული
ეწოდება!.. მიდი, მუხლს ნუ მი-
დრეკ ასეთი ტრაკეტის, ასეთი მა-
ღალმშვიდური მღვდელმსახურების
წინაშე! მხიარულ ბუნებით და გრ-
ძნობით ტაშაკით არ შეუძლიათ ამის
შემჩნევა და შეფასება. სამშობ-
ლოს ბუღი აჩმუოში და მისი ჩია-
ღი მიმავალში მაგრად ჩაიხუფებს
თავის ღირსეულ შვილთ, რომელნიც
პირნათლად იხდიან ვალს ერისა
და ქვეყნის წინაშე.

სამშობლოს ერთგული სამსახუ-
რი მოითხოვს ჩვენგან უანგარო-
ბას. ყოველ მოვალეს, ყოველ მო-
ვაჭრეს, კარგს თუ ავს, ესაჭიროება
ჭმინდა შეფასება, - "ვინ ღიად
მიზნის მესაფერი. აქ ყოველმა
ჩვენთაგანმა უნდა იგრძნოს იგი-
ვე, რასაც ჩვენ გრძნობს სხვა მისივე
მიძმე. აქ ჯგუფში ყოფნა საჭირო
არ არის. ჭეშმარიტი გრძნობა და
აზრი უნდა იყოს ასეთ დროს სა-
ყოველთაო. ჯგუფი რა შუაშია, როცა
ყოველი რიგიანი ნორმალური შვი-
ლი ერისა ჩვენობს და ჭიქრობს
იმასვე, რასაც ჩვენობს და ჭიქ-
რობს მის გვერდით მდგომი! ამაში
ასეთი აზრი, ასეთი გრძნობა მძლ-
ავრ აზრად და გრძნობად იქცევა
და სჯობს ყოველსავე უკუღმართო-
ბას.

ბევრს მიუქცევია ყურადღება
ამ საგანზე და ცდილა გაერკვია
ეს მოვლენა. ძველ გერმანელ მიაზ-
როვნეს, ფინ-ჰოლანდიელს, ერთი ჩი-
ნელიც კი აქვს დაწერილი საზოგად
ებრივი აზრის მნიშვნელობაზე. იქ
გარკვეულია თვალნათლივ, თუ რა მი-
სდევს საზოგადოებრივი აზრის დარ
ღვევას, როცა არ ემორჩილებიან მას.
ამის ბევრი მწარე მაგალითი მოგ-
ვცა ცხოვრებამ ამა თუ იმ ერისამ.
მაგონდება. ირანელიაში მოღვაწე-
ობდა სახელგანთქმული და ღირსე-
ნიანი მოღვაწე-მამულიშვილი კა
ნელი. ყველანი თაყვანსა სცემდნენ
სამშობლოში და მის გარედაც. მო-
ვიდა რაღაც მარცხი - დაარღვია
რაღაც ჩვეულება, თუ არ ვცდები ქი-
რჩინების გარეშემო საკითხში. ეს
შენიშნეს. ასტყდა ალიაქოთი. ის
იყო და ის. მაღალ მდგომ პარნელს
დაემართა დიდი ფიასკო. უცბათ დაე
კარგა ყოველივე გავლენა-პოპულა-
რობა. ეს წამი საშინელი იყო არა
მარტო ირანელისათვის, არამედ კა
ცობრიობისათვისაც. ეს ამბავი არა
სოდეს დამავიწყდება.. ისეთი შთა
ბეჭდილება დასტოვა მან ჩემზე.
მეორე მაგალითი მოგვცა საფრან-
გეთის რესპუბლიკამ სულ ახლახან.
საზოგადოებრივმა აზრმა დაინახა,
რომ პრეზიდენტი ალექსანდრე მილე-
რანი შეუფერებელი ამოიჩნდა მა-
შინდელი პოლიტიკური სიტუაციისა-
თვის. განურჩევლად ყველამ ეს ალ
იარა. მილერანს არაფერი საძრა-
ხისი რამ არ ჩაუდენია, მაგრამ სა
ჭიროდ დაინახა დაეთმო საყოველთაო
აზრისათვის და რიგორც წესიერმა
მოქალაქემ, ბრალმა და მაღალკულ-
ტურისანმა, არჩია გადადგომა. რაც
უფრო კულტურისანია ერი, მით უფრო
მძლავრია საზოგადოებრივი აზრი.

მეტად ფაქიზს, მეტად ჭმინდა მოთხოვს მოვაჭრეებისაგან სამსახური საზოგადოებისა. თუ ქაღალდი რამ დაკნინდა მოვაჭრემ და გადასცა უბრალო მილებით ჩვეულებას დაბერილ კანიანვე ძიერს, მორჩა, გათავდა მისი საქმე.

ვიცეთ რა ახალი ორგანოს გამოცემას, - ჩვენ ვითვალისწინებთ ყოველისფერს, აქ თქმულს და ათქმასაც ვსდებთ ჟურნალების ძიების ჭმინდა გზას არ ავცდეთ. ყოველი შესანიშნავი მოვლენა, ამა თუ იმ მოვაჭრის მოქმედება იქნება გარკვეული, განხილული და შეფასებული ჩვენი გამოცემისფურცლებზე უფყუარად და შეუბრალებლად!

გრიგოლ დიასამიძე.

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

.....

საერთაშორისო წინასწრობა

უკვე მესამე წელია, რაც მორეულ აღმოსავლეთში. გარბაზნები ბრიალებენ და კორეის ველებზედ განუწყვეტივ იღვრება სისხლი რამდენიმე სახელმწიფოს შვილიერებული ძალებისა. მიუხედავად ამისა, კაცობრიობა ოფიციალურად ე.წ. მშვიდობიან ხანაში იმყოფება და მის კასუხისმგებელ კიდეფტიკურ ხელმძღვანელთ არა სურთ ამ ხანგრძლივი ბრძოლების ოფიციალურ ომად აღიარება.

თუმცა ბრძოლა მძვინვარებს შორეულ აღმოსავლეთში, თუმცა ბერლინისა და ვენის ქუჩებზედ ხედივნურად გაყვანილი საზღვრები არა ერთხელ იქცნობენ ნერვებაშლილი კაცობრიობის მძაფრ ყურადღებას, მაგრამ კიდეფტიკური ბრძოლის მთავარი შხეფი და მირველი მაინც მსოფლიოს სულ სხვა კუთხეს ეხეთქება. ამ ბრძოლის ცენტრი დღეს დღეიდით, გარეგნულად მიყუჩებულ მახლობელ აღმოსავლეთში მოექცა.

დღეს ჯერ კიდევ შეუძლებელია ითქვას, თუ რომელი ამ წერტილთაგანი შეიქმნება უკანასკნელ საბედისწერო წვეთად და რომელი მათგანი გადაჰკვეთს დღევანდელ დაავადებულ გავს.

კირველი მსოფლიო ომის წინ, იმავე ნევრალგიური წერტილები, მსოფლიოს კიდეფტიკურ სარბიელზედ იწვნენ მხილი ბრალებით და აღმიტებრივ დაძაბულობას და მათი აღმიტებრივვე განელების შემდეგ მყარდებოდა ხანგრძლივი მშვიდობიანობა მთელს მსოფლიოში.

დღეს მსოფლიოს კიდეფტიკურ სარბიელზედ აღარ არსებობენ განცალკევებული აღმიტებრივი საკითხები და ყველა ეს მირველები წარმოადგენენ ერთ მთლიან, მჭიდროდ შეკრულ და განუყრელ კრებულს.

დღეს, საქველნო კიდეფტიკის ყველა სათუთი ჯუნქტის გამწვავებული საკითხები რომ განცალკევებული აღმიტებრივი სახით იქმნენ განხილებულნი, ეს კატობრიობას ვერ მიუტანდა შველას და საერთო ხანგრძლივ მშვიდობიანობას ვერ დაამყარებდა. ამის გამო, დღეს, არც ერთს სახელმწიფოს მსოფლიოში არ შეუძლია აიღოს რამე გარკვეული ხაზი და მკვიდრი სახის ცხოვრებას შეუდგეს.

არსებულ მდგომარეობას კრესა და კიდეფტიკური ელემენტები უჭირდებენ ბევრ სხვადასხვა სახელს და უსვამენ ბევრ სხვადასხვა დიაგნოზს, მაგრამ საჭიროა ნათლად

აღვიარით, რომ ამ მდგომარეობას ყველაზედ კარგად ახასიათებს დენინის დიაგნოზი: „ეკეთ რომ ვთქვა, „მექვნილი მდგომარეობა ყველაზე კარგად შეეფერება დენინის ძველ იცნებას და სურვილებს, რომელთა განხორციელებაც ვერ მიახერხა მან 1918 წელს ბრესტის კონფერენციაზე: „არც ომი, არც ზავი“.

„არც ომი, არც ზავი“, - ეს მდგომარეობა წარმოადგენს განუწყვეტელი მეღვიძების მაგალითს, იარაღის გარეშე წარმოებულ კიდეფტიკურ შეხლას და შეუხერხებელ მძვინვარებას დაფარული ბრძოლისას. ეს მდგომარეობა სჭიბს მსოფლიოს შემოქმედების ყოველგვარ საშუალებებს, ანადგურებს კაცობრიობის სულიერ და ნივთიერ მარაგს, მთელს ქვეყნიერებას აყენებს ასაფეთქებელ სანარმო სივრცეში და უმზადებს მას უღიერეს კიდეფტიკურ კატასტროფას.

ნუთუ კაცობრიობის ამ მდგომარეობამდის მიყვანა უბრალო შემთხვევაა და ნუ თუ ეს გამიჩვეულია მსოფლიო რომელიმე სახელმწიფოს მმართველი ჯგუფის ავზნე სურვილებით?

კიდეფტიკურმა ვითარებამ კაცობრიობა იქამდე მიიყვანა, რომ იმ ელემენტებმა, რომელთაც დღემდე ეყრდნობოდა მსოფლიოს საერთაშორისო კიდეფტიკური წინასწრობა, სრულიად დაკარგეს ძალა, წონა და წინანდელი კიდეფტიკური მნიშვნელობა. მათ აღარ აქვთ ის ღირსება რომელზედაც მსოფლიო წინასწრობა მთელი თავისი სიმძიმით ეყრდნობოდა. ამის გამო ბევრს ჰგონია, რომ აღარავითარი სამუალებანი აღარ არსებობენ მკვიდრი და ხანგრძლივი მშვიდობიანობის დამყარებისათვის. რამ მიიყვანა მსოფლიო ამ მდგომარეობამდე და არსებობენ თუ არა შესაძლებლობანი აქედან გამოსვლისა?! კასუხი ამ კითხვებზე უნდა ვეძებოთ დღევანდელი კატასტროფული მდგომარეობის წინ არსებულ ხანაში და იმ ისტორიული კრიზისის შესწავლაში, რომელთაც კაცობრიობა წინამორბედი ხანიდან თანამედროვე მდგომარეობაში გადმოვიდა.

.....

კაცობრიობა დღევანდელ მდგომარეობამდე მიიყვანა მსოფლიო ომების სერიამ, რომელიც 1914 წელს დაიწყო და რომელიც ჯერ კიდევ არ გათავებულა.

ამაზედ წინ მსოფლიოში მსოფლიო სუფევდა მშვიდობიანობის გრძელი ხანა, რომელიც 1871-იდან 1914 წლამდე გრძელდებოდა. მართალია, ეს ხანა არ იყო სრულიად მშვიდობიანი. მის განმავლობაში ევროპაში გათამაშდა რუსეთ-ისპანეთის ომი 1877-78 წლებში, ბალკანეთის ომები და მთელი რიგი სხვა კოლონიალური ომებისა და სამხედრო მოქმედებების. მაგრამ ყველა ამ ომებს ჰქონდათ სრულიად აღმიტებრივი ხასიათი და არ იწვევდნენ იმ საერთო ღელვას მსოფლიოში რომელნიც ძირითადად სცვლიდნენ კაცობრიობის კიდეფტიკურ წარმოგანწყობილებას.

მიუხედავად ამ აღმიტებრივი ომებისა, რომ 1871-1914 წლებში, შეიქმნა ყველაზე ხანგრძლივი და სრული მშვიდობიანობის ხანა. ამ ხანაში ევროპის კონტინენტის კიდეფტიკური კონსტელაცია ჩამოყალიბდა ორი თანაბარი ძალის მქონე მოწინააღმდეგე სამხედრო ბანაკად:

ერთ მხარეზედ მიექცა ცენტრალურ სახელმწიფოთა კავშირი, რომლის წევრობაში შედიოდნენ გერმანია-ავსტრო-უნგრეთი და იტალია; მეორე მხარეზედ იდგა რუსეთ საფრანგეთის შეთანხმება.

ირივე ბანაკი თავისი ჯგუფის იმ მიდრეკილებას ემცარებოდა, რომელიც ძველ კონტინენტზე თავისი პოლიტიკური ძლევამოსილების შესაქმნელად ემზადებოდა. ეს იყო რუსეთი და მისი მეტოქე გერმანია.

ამ ორი ბანაკის გვერდით იდგა, რომელსაც მესამე ძალა, იმ დროის უდიდესი საზღვაო ძალა, ინგლისტანეთი, და სწორედ ეს სახელმწიფო წარმოადგენდა ზემო აღნიშნულ შეიარაღებულ ძალთა განწყობილების წინასწორობის მკვიდრ ნიადაგს. ამ შეიარაღებულმა წინასწორობამ უძლვნა კაცობრიობას ყველაზედ ხანგრძლივი და ყველაზედ ნაყოფიერი ხანა ჩვისა და მშვიდობიანობისა!

ასეთი მშვიდობიანობის შექმნას ხელი შეუწყო ბევრმა სხვა-და-სხვა განსაკუთრებულმა პირობებმა.

კონტინენტის ყველა სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალები და მყარებული იყვნენ უკვე საერთო სავალდებულო სამხედრო ბეგარაზე (გარდა ბელგიისა), მაგრამ სამხედრო ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ მხედველობაში ვერ იღებდა თითოეული სახელმწიფოს ერთვნულ ავებულებას.

ფრიად დამახასიათებელი თვისებები ჰქონდა ტექნიკის მაშინდელი განვითარების დონეს. მაშინდელი ტექნიკა ვერ ახერხებდა იარაღის ახალი ნიმუშების ხშირ გამოცდებას, რის გამოც შეიარაღებული ძალების საიმარი და სამხედრო საჭურველი თავის ძველ სახეს და ვარგისობას დიდხანს ინარჩუნებდა.

ამის გამო, ყველა სახელმწიფოთა ქვეითა ჯარისა და არტილერიის საჭურველის ნიმუშთა უმეტესობა მე-19-ე საუკუნის გამოგონებებს წარმოადგენდნენ, ხმარებაში იმყოფებოდნენ (მხედრობის) ორი თაობის განმავლობაში, ჯარი შეფასებით გაიარეს ქირვედი მსოფლიო ომი და, ბოლოს ამ ნიმუშთაგანმა, მეორე მსოფლიო ომამდეც კი მიაღწია.

თუმცა ევროპის სახელმწიფოთა უმეტესი ნაწილი თვით აკეთებდა საკუთარ იარაღს, მაინც შეიარაღებული ძალები ჯერ კიდევ არ იყვნენ მჭიდროდ გადაჯაჭვულნი საკუთარი სახელმწიფოს მრეწველობაზედ და ჯერ კიდევ არა გრძნობდნენ ამ კონტაქტის უშუალო საჭიროებას.

ევროპის სახელმწიფოებმა ამ ხანაში ქირვედად იგრძნეს სამხედრო ბიუჯეტის ნამეტი სიმძიმე და ეს საკითხი ქირვედად გამოიწვია ქრესის ფურცლებზედ. მიუხედავად ამისა, მაშინდელი სამხედრო ბიუჯეტის შეფარდება დანარჩენ ბიუჯეტთან, არც კი შეიძლება შევადარით თუ ვინ ქირვედი მსოფლიო ომის შემდეგ არსებულ თანაფარდობას.

„ერი იარაღ ქვემ" და სხვა ამგვარი გამოთქმები იხმარებოდა უფრო რიგორც დამაზი საბანკეტო ევფემიზმის სიტყვებისე, რომ თვით მათ ავტორთ არ სჯეროდათ და არ ესმოდათ ამ სიტყვების ნამდვილი მნიშვნელობა და მათი განხორციელების სახე.

მაშინ ამ მდგომარეობას უწოდეს „შეიარაღების დონე"; მაგრამ ძნელია ეს სახელი უწოდით მას, ამ

სიტყვების ღრმავანდელი მნიშვნელობით. ყოველი იმდროინდელი სახელმწიფო ახერხებდა არ ჩამორჩენოდა თავის „ნიშანში ამოღებულ" მოწინააღმდეგეს და შეიარაღების ხანგრძლივი პროგრესირების შენარჩუნება ხელსაყრელია საჯარისო სიძნელეების შექმნის გარეშე.

სახელმწიფო, რომელიც იმყოფებოდნენ მაშინდელი შეიარაღების მოწოდების გარეშე, თავს სრულიად უზრუნველყოფილად ჰგრძნობდნენ. ამის გამო ღიდმა ბრიტანეთმა და შეერთებულმა შტატებმა არც კი შემოიღეს საყოველთაო სამხედრო ბეგარა. (ინგლისმა სამხედრო ბეგარა დროებით შემოიტანა ყველა მსოფლიო ომის დროს და მის შემდეგ უკუაგდო 1939 წლამდის. შეერთებულმა შტატებმა შემოიღეს მეორე მსოფლიო ომის დროს).

აი, ამ ტექნიკურმა მოვლენებმა შექმნეს პირობები ყველაზედ ხანგრძლივი მშვიდობიანობისა. ეს იყო შეიარაღებული ზავი დამყარებული შეიარაღებულ წინასწორობაზე. ამ ხანაში კაცობრიობამ მიაღწია თითქმის უმაღლეს საფეხურს ცხოვრების ყველა სფეროში. სახელმწიფოთა ღიდმა ნაწილმა მიაღწია თავისი ნივთიერი კეთილდღეობის უმაღლეს ჭერტილს, თუმცა ვერ გრძნობდნენ, რომ ამით თავიანთი ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების საკურმინაციო სიმაღლეს სწიდებოდნენ.

. . . . . .

. . . . . .

1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დაწყების დღეს, გაკვეთა უკანასკნელი მშვიდობიანი ხანა დედამიწის ზურგზედ. ყველა სახელმწიფოებსა და ერებს, რომელნიც ნებით თუ იძულებით იღებდნენ მონაწილეობას ამ ომში, - საკუთარი, განცალკევებული მიზნები და იდეალები ჰქონდათ; სწორედ რიგედია განსხვავებისათვისაც ისინი ბრძოლას აწარმოებდნენ.

დღეს, 39 წლის შემდეგ, უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველა ის ტრაგიკული განცდები და უბადლო სისხლის ღვრა, რომელიც კაცობრიობამ ორი მსოფლიო ომის განმავლობაში განიცადა, ყველა ის ტრაგიკული პოლიტიკური მოვლენები და სისხლიანი გათამაშებანი, რომელთაც ჰქონდათ ადგილი ამ ორი მსოფლიო ომის შუა და მათს შემდეგ, დაკნეჭილი პირველი ომის ნაშთების გასწორებამდე, - წარმოადგენენ ერთ მთლიან და განუყოფელ სახის პოლემიას, რომელიც წარმოებული იყო ერთი და იმავე მიზნისათვის.

საუბედუროდ, კაცობრიობის ეს უბინამრწყედი და უდიდესი ტრაგედია, იყო მხოლოდ შესავალი, პირველია, ყველაზე ბრძოლა ძველი კონტინენტის იმპერიალიზმის ორ უკანასკნელ და უდიდეს მეტოქეთა შორის; წარმოებული იმის გადასაწყვეტად, თუ რომელი მათგანი იქნებოდა საბოლოო ბატონი ევროპის კონტინენტისა!

ასეთი უმაღლესი მსოფლიო ტრაგედიის დაწყების შემდეგ, ევროპაში დარჩა კონტინენტის იმპერიალიზმის უკანასკნელი, შემთხვევით გამარჯვებული ფაქტორი, რომელიც დღეს გადაიქცა ახალი იმისათვის თავის საბოლოო მიზნის მისაღწევად. ეს ფაქტორი საბჭოთა კავშირია და მისი მიზანი არის მთელი მსოფლიოს დამორჩილება და მისი ბრძანებლობის ქვეშ შეყვანა!

მივერვნათა ამშვარმა განვითარებამ მიიყვანა კაცობრიობა დღევანდელ მდგომარეობამდე. დღეს მთელი მსოფლიო გაყოფილია ორ ნაწილად და ჩაკეტილია ორი, ერთიმეორის მიმართ აგრესიულ სამხედრო ბანაკში. ერთ ბანაკში დგას საბჭოთა კავშირი, - უკანასკნელი წარმოადგენელი კონტინენტის იმპერიალიზმისა, გამზადებული მსოფლიოს დასაპყრობად.

მეორე ბანაკში ირაზმება ნელ ნელა, დიდის დავიანებით კაცობრიობის უკანასკნელი თავისუფალი ნაწილი, რომელსაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ეს თავისუფლება დაიცვას! ისტორიული პროცესის სარბიელზე ალარ არსებობს სხვა რომელიმე სამუშაო ელემენტი. ამგვარად, სულ ახალი და უცნობი პროლეტარული დგომარეობა დამყარდა. ალარ არსებობს ძველი, მრავალ ელემენტიანი ძალთა განწყობილება, რომელზედაც საერთაშორისო ურთიერთობა ჯერ კიდევ მსოფლიო იმამდე ემყარებოდა.

დღეს, გაწურწყვეტილი მინაგანი ბრძოლით და იმებით მოქანცული კაცობრიობა გამარჯვებით დაეძებს ახალ სამუალებას, რომ რომელიმე მოახერხოს ბავშვისა და მშვიდობიანობის დამყარება დედამიწაზე. ამის მისაღწევ უკანასკნელ რეცეპტად აღიარებულ იქმნა „შეიარაღება“, რომ ამით თავისუფალი ერებისა და სახელმწიფოების ბანაკი, თავისი სისუსტით არ წარმოადგენს ადვილად დასამარცხებელ და ადვილად დასაშრჩობელ იმიჯს და ამით არ აქეზებდეს მიმინაამდეგს.

თეორიულად ეს სრულიად სწორი და ლოგიკური მსჯელობაა, მაგრამ რიგორ გამოიყურება ეს დოგმატური პრინციპი თავის პრაქტიკულ განხორციელებაში!? შეიძლება თუ არა დღეს შეიარაღებული წინასწორობის მიღწევა და ამით ისეთი ხანგრძლივი, ნამდვილი და მკვიდრი მშვიდობის დამყარება, რომლის მსგავსი, მშვიდობა კაცობრიობას შეიარაღებულმა წინასწორობამ ჯერ ვიდი მსოფლიო ომის წინ უძღვნა?! ამ საკითხში გარდამწყვეტი სიტყვა ტექნიკის განვითარების დღევანდელ დონეს ეკუთვნის!

.....

დიახ, ტექნიკის განვითარების მეცხრამეტე საუკუნის დონემ კაცობრიობას მიანიჭა ყველაზე ხანგრძლივი და სრულყოფილი ზავი, მაგრამ იმავე ტექნიკის განვითარების დღევანდელი დონე შეუძლებელს ხდის შეიარაღებული წინასწორობის შექმნას და ამ სახით ზავის და მშვიდობის დამყარებას.

დღეს, იარაღის საუკეთესო ნიმუშები ისეთი დარგებისა, რომლიცაა მაგალითად ავიაცია, ჯავშნიანი იარაღი, საჰაერო და სახმელეთო სავედე ტრანსპორტი, - რომლის ნიმუში ხმარებაში არის მხოლოდ 4-5 წელიწადი. ამის შემდეგ, ბინდაც სულ ხელუხლებლად ეწყოს საწყობში რიგორც ნიმუში მაინც დაძველებულია და ვეღარ ებრძვის მიმინაამდეგის ახალ ნიმუშებს.

დღეს, ჯარის ერთდროულ შეიარაღებას ალარ შეუძლია ემსახუროს თავისი სახელმწიფოს ორ თაობას, ისე რიგორც მეცხრამეტე საუკუნის ოთხები, ტყვიის მფრქვეველები და სავედე ზარბაზნები ემსახურებოდნენ რამოდენიმე თაობას.

ასეთს პირობებში ერთდროულმა

შეიარაღებამ მიმინაამდეგის ამ რესია შეიძლება შეაჩეროს სულ მიკედ ხნით, ერთი ან ორი წლით, შემდეგ აუცილებელია იარაღის შეცვლა და ახალი გადაიარაღება. ასეთი შეჯიბრის ხანგრძლივ წარმოებას, მეოცე საუკუნის ტექნიკის საფეხურზედ, კაცობრიობა ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაუძლებს.

შეიარაღების შეჯიბრში ტოტალიტარულ ბანაკს შეუძლია რამდენიმე ნაბიჯით უფრო შორს წავიდეს, ვიდრე დემოკრატიული ბანაკი. და ეს არა იმიტომ, რომ ტოტალიტარული მხარე იდგეს ტექნიკური დონის უფრო მაღალ საფეხურზედ და მიეკუთვნებოდეს შემოქმედების მეტი შემძლებლობა. არა, ამ მხრივ დემოკრატიული ბანაკი ტოტალიტარულზედ შეუდარებლად მაღლა დგას.

ტოტალიტარულმა მხარემ ისე დააქვეითა თავისი მოქალაქეების ნივთიერი და უფლებრივი მდგომარეობა, რომ მათი არსებობა უბრალო, ცოცხალი ინვენტარის მდგომარეობამდე მიიყვანა. დემოკრატიულ სახელმწიფოებს არ შეუძლია შეიარაღების დიდი ასეთი საფასურით აწარმოოს.

მაშასადამე შეიარაღება ვერ შესძლებს ვერც ჩინასწორობის და ვერც ზავის მიღწევას. რჩება კიდევ ერთი ჩინაუკმი რეცეპტი, რომელზედაც ჩვენს თაობაში ძლიერ ხშირად იყო დაკანაკი. ესაა საერთო განიარაღება! და სწორედ აქ მივიდა კაცობრიობა პირდაპირ სარკასტიულ პარადოქსამდე!

შეიარაღების თანამედროვე დებულებანი საუცხოოდ შეიგნო. ეს თვით ტექნიკის ვითარებამ უკარნახა მას, მასიური საჰაერო თავდასხმებისა და ატომის ყუმბარების მიერ გამოწვეული ტრაედიით! მაგრამ განიარაღების თანამედროვე შეგნება ჯერ კიდევ არ არსებობს და ამ საკითხში კაცობრიობა ჯერ კიდევ რამოდენიმე საუკუნითაა ჩამორჩენილი ცხოვრების სინამდვილეს.

.....

განიარაღება მსოფლიოს ჩიაღში ორი სახითაა წარმოდგენილი. ერთი, - ნებაყოფლობითი და და ძალობითი საერთო განიარაღება; მეორე, იძულებითი იარაღის აყრა დამარცხებული მიმინაამდეგისა.

ნებაყოფლობითი საერთო განიარაღება წარმოადგენს კაცობრიობის დიდი ხნის თეორიულ იცნებას. მისი განხორციელება ტექნიკის დღევანდელი განვითარების საფეხურზედ მსოფლიოსათვის სრულიად ჭკვიანური მანევრი იქნებოდა. თანამედროვე მრეწველობას სულ მიკედ ხანში შეუძლია შეაიარაღოს უდიდესი სახელმწიფო. დღეს რომ ყველა განიარაღდეს, მაშინ იარაღი მხოლოდ იმ სახელმწიფოთა მინოკოლიად გადაიქცევა, რომელთაც მრეწველობა აქვთ. იმ სახელმწიფოებს, რომელთაც მრეწველობა არ მიეკუთვნათ, სრულიად მოესპობოდათ თავდაცვის საშუალება.

ასეთი განიარაღება მთელს მსოფლიოში გააბატონებდა მხოლოდ ორ, სამ სახელმწიფოს, ხოლო მთელი დანარჩენი კაცობრიობა უხმო, გასაყოფად და მეტყეობის საგნად გადაიქცეოდა!

.....

რა შედეგებს იძლევა ძალმხრივი, იძულებითი, იარაღის აყრა დამარცხებული მიმინაამდეგისა?! ჩვენი თაობა რამოდენიმეჯერ იყო იმის

მიჩვე,რომ დამარცხებულ მიჩინა ომდროებს მთიანად არომევდნენ იარაღს,და მის სამრეწველო ცენტრებში დროებით აგენებდნენ მუშაობებს.

რა სახის ზავი და მშვიდობა მოიტანა ამ სახის ე.წ. რადიკალურმა ზომებმა - ეს ყველამ კარგად იცის.

განიარაღების ასეთი შეხვედა სახე შეეფერებოდა მხოლოდ მე 16-17 საუკუნისკირიბებს.

ჯერ კიდევ მე-18-ე საუკუნეში,ცენტრალური ევროპის ერთერთი სახელმწიფოს ხელმძღვანელი, თავს იმისათვის მომზადებულად სთვლიდა,რომელსაც შეაბრუნებდა ას ფუთამდე შავ დენის და ცხრაათ ფუთამდე ვერცხლს(სიტყვა-სიტყვით) და ამით იდამშვიდებდა ევროპის რუქის შესაცვლელად.

ამ ხანაში,ამ რკინეულობისა და შავი დენთის ჩართმევას მართლა შეეძლო დიდი ხნით დაემშვიდებინა ევროპა. მაგრამ დღეს?!

ჩარმოვიდგინოთ ასეთი განიარაღების პირობებში სახელმწიფო,რომელიც დღეს დამობს მსოფლიოს დამორჩილებას.

ვლზედ გამოსანიდი რკინეულობის აყრა არც კი არის საჭირო. 1904-05 წლის აქეთ უკვე ამ სახელმწიფოს მკვიდრ ფრადიციად იქცა,რომ ყველა ბრძოლის ველზედ მთელს იარაღს მიჩინააღმდეგებს უტოვებს და ყველა მებრძოლთაგან ტყვეების ყველაზე მეტ რიცხვს აძლევს მტერს(თუმცა წეს დების თანახმად არა სცნობს საკუთარ ტყვეებს).

მრეწველობის კონტრიბი - ეს სრული სიყალბეა. ორთავე მსოფლიო ომის საზაო პირობებმა და-

ვანახეს,რომ ხანგრძლივი ოკუპაცია თვით უმცირეს სახელმწიფოსი,სრულიად შეუძლებელია,მით უფრო წარმოუდგენელია დღევანდელი მიჩინაღმდეგის უზარმაზარი ტერიტორიის მთლიანი ოკუპაცია.

აღნიშნული ფაქტები ნათლად გვიმტკიცებენ,რომ მიჩინაღმდეგის განიარაღება იმ სახით,როგორც ეს ადრე უკვე იყო მიღებული - დღეს სრულიად უაზრო და უნიშვნელო ცდომილია წარმოადგენს.დღეს სახელმწიფოს მთავარ იარაღს და ძალას არ წარმოადგენს ერთდროულად შეგროვებული რკინეულობა.ასეთი შეიარაღების ხანა გათავდა პროფესიონალური ჯარის არსებობასთან ერთად.

.....

დღეს ბრძოლის უმთავრეს იარაღს წარმოადგენს თვით ადამიანი,ხალხის ცოცხალი მასა და სახელმწიფოს ტერიტორიის სამრეწველო ღირსებანი. ამ მოვლენას გამოკვეთს მნიშვნელობის პირველ საფეხურზედ სრულიად ახალი ელემენტი: მსოფლიოს ნამდვილ პოლიტიკურ ძალთა განწყობილებისა.

განვლილმა მსოფლიო ომებმა ამკარად დაგვანახეს,რომ არც ერთ სახელმწიფოს,რომელიც დამობს კაცობრიობის დამორჩილებას,არ შესწევს საკუთარი ძალები ამ მიზნისათვის ბრძოლისა.ამის საშუალებას აძლევს მათ მხოლოდ ცოცხალი მასა დაპყრობილი ერებისა,ამ ერების ეროვნულ-ფიზიკურ სიცოცხლეთა განუსაზღვრელი სამრეწველო შესაძლებლობანი და ამ ტერიტორიათა უაღრესი სტრატეგიული მნიშვნელობა.

დღეს ყველაზე საშინელ იარაღს და უპატრონო არსენალს წარმოადგენს დაპყრობილი ერების სამხედრო შესაძლებლობის საერთო ჯამი, რომელთა რიცხვიც აღემატება ევროპატრიოტების 150 მილიონს. როგორც კი ეს არსენალი გადადება ძველი კონტინენტის იმპერიალისტური ბანაკის უმუალო ან საშუალო განკარგულებაში - ეს ბანაკი იმწამსვე იწყებს დამშრობას თავისი ჰეგემონიის დასამყარებლად ძველ კონტინენტზედ და მერე მთელი დედამიწის ზურგზე.

აი,ამ უდიდესი იარაღის ართმევა წარმოადგენს დღეს განიარაღების ერთადერთ რადიკალურ სახეს. მკაფიოდ რომ ვთქვათ, დღეს კაცობრიობის დამშვიდება შეუძლია მხოლოდ დაპყრობილი ერების საომარი პოტენციალის გამოყვანას ძველი კონტინენტის იმპერიალიზმის ბანაკიდან. ეს არის ის მესამე ელემენტი,რომელიც აკლია მსოფლიო წონასწორობას.

ეს საკითხი არ არის პოპულარული იდეალური პოლიტიკის სარბიელზედ. რამდენიმე ხნის წინად იდეალური პოლიტიკა ამ საკითხზედ გაგვებ ხუჭავდა თვალებს და ჰკრძალავდა მასზედ დაპარაკს.

ეს მოვლენა მაინც ვერ სცვლის მდგომარეობას.დაპყრობილი ერების განთავისუფლების საკითხი უკვე მსოფლიოს არსებობის პირველ საკითხად იქცა და აღარ შეიძლება მისი უყურადღებოდ დატოვება.

უკვე ძლიერ მოკლე ხანში თვით მოვლენათა ვითარება უკარნახებს მთელ კაცობრიობას,რომ სანამ ძველი კონტინენტის იმპერიალიზმის ხელუხლებლად - ესე იგი საბჭოთა კავშირიდან - არ იქნება გამოყვანილი დაპყრობილ ერთა ცოცხალი ძალები,მათი სამრეწველო პოტენციალი და მათი ტერიტორიის სტრატეგიული მნიშვნელობა და ღირსება,-მანამ მსოფლიო ვერ იხილავს ზავს და მშვიდობას!

.....

მსოფლიო ვითარების აღნიშნულ ჩარჩოებში ცდება ჩვენი ეროვნული საკითხიც. საქართველო და კავკასიის ყველა ერები ეკუთვნიან კაცობრიობის იმ მესამე ელემენტს რომელმაც უნდა შეაჩქმნას მსოფლიოს წონასწორობა და მიანიჭოს მას მშვიდობიანობა.

ამ სარბიელზედ,მსოფლიოს პოლიტიკური ვითარება,საქართველოს და კავკასიის მნიშვნელობას თითონვე აყენებს მიჩინავე ელემენტთა რიგებში. ჩვენი უახლოესი წარსული,დაწყებული 1918 წლიდან, ნათლად გვიჩვენებს,რომ ჩვენი წყების ერებს შორის,ისტორიის ახალ ეტაპთა განვითარება უპირველესყოვლისა ეხება ხოლმე საქართველოს და კავკასიელ ერებს.

ამას თითონვე აღნიშნავს მსოფლიოს პოლიტიკური ვითარება,ხაზს უსვამს პოლიტიკის ორთავე მხარის ოფიციალური ხელმძღვანელობა. ერთა და საჭირო მხოლოდ,რომ ... თვით ქართველებმა და კავკასიელებმა იცნონ ეს თავიანთი მნიშვნელობა და დაიგნენ მის სიმაღლეზე!!

ვანი ნანუაშვილი.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

31021

ნიე ურლანია

სიტყვა, წარმოთქმული ბრ. დიასამიძის მიერ ქალაქის საბჭოსთან არსებულ საზოგადოებრივ კომისიაში 1953 წლის 25 იანვარს.

მწარე ამბავი მიმვესმა ქარიშხიანზე, სადაც თავმოყრილია ყველაზე მეტი საბრძანებლოები ქართველობა.

იქ, ამა იანვრის 11-ს გარდაიცვალა ქართველი ერის მოამაგე, არჩეული ორგანოს კომპარტიული ორგანიზაციის დემოკრატიული რესპუბლიკისა ნიე ნიკოლოზის ძე ურიანია.

თავის ორგანოების მიმზიდველ თვისებათა წყალობით ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა ნიე იკრებს გარშემო მისებრ მწყაზარ და ღირსეულ ყმაწვილებს, მშრომელი ხალხის სამიდან გამოსულთ. ისინი მუდამ ერთად არიან, ბაასობენ. მათთვის დამადული არ არის აუტანელი გასაჭირი მშრომელი ხალხისა. მჭიდრო ურთიერთობამ, დაკვირვებამ და მჭიდრო ნებისყოფამ არც გაუხსნა მათ გონება, აუძრა სურვილი სწავლა-განათლებისა და დაუსახა საწადელი - გამხარიყვნენ ბევრი ნაწილის ქომაგნი და ამმაღლებელნი. ეს მიზანი თაობა იმ ჟამად იქნებოდა მაშინდელ დაბა, ახლანდელ ქალაქ ზესტაფონში. ეკონომიურმა შეუძლებლობამ ამ თაობას დააძალა სწავლა-განათლების მისაღებად რაიმე საშუალება მოეძებნა. ზესტაფონა მაშინ ჭიათურის შავი ქვის მრეწველობის ცენტრი იყო. მრეწველობის სათავეში იდგა ღირსეული პირადება, მხნე მოღვაწე ნიკოლოზ ბესარიონის ძე ღლონტი. რომლის განათლებული შორსმჭვრეტელი ადამიანი იგი იწვევდა თავის სამრეწველო ბიუროში თავისაჩინო ძვალსა და ახალ პირებს, რომელნიც უყურადღებო არ სჩთვლებდნენ ბიუროსთან ახლო მდგომ ახალგაზრდებს. ნიკოლოზ ღლონტის მოწვეული ქვაკვადრატად დამსახურებული კედელივით, ღონიერ და დარბაისელ ქვეყნე უმიკამეული, ნიკოლოზ ითხმეზურიანი, ახალგაზრდა მოღვაწის ირაკლი ითხმეზურის მამა და კიდევ სხვა ღირსეული ხალხი. აი ამ სასიამოვნო წრეში უხდებოდათ ცხოვრება ახალგაზრდა ნიეს და მის თანამოსაკვეთ. უკანასკნელთა შორის ყველას ყურადღებას იქცევდა ნიჭიერი ყმაწვილი - ედნატე ინგოროყვა - შემდეგ ცნობილი მწერალ-ბელეტრისტი ედნატე ნინოშვილი, რომელმაც სურამის ციხის ავტორის დანიელ ჭინქაძის შემდეგ მოგვცა მრავალი მხატვრული ნაწარმოები, სადაც გლეხობისა და საგლეხო მშრომელი ხალხის ტანჯული ცხოვრება არის აწერილი უტენდენციოდ და ღრმის ნიჭით. ედნატეს ჭირისუფლებამ - ჩვიდმა და ნიჭიერმა - უფრო შეაკავშირა ნიეს ახალგაზრდობა, ასე რომ, როცა უკურნებელმა სნეულებამ მისტაცა ამ ჯგუფს საყვარელი კაცი, ჯგუფი უფრო მჭიდროდ შეკავშირდა და შეუდგა თავის ახალგაზრდა წევრების საჭიროებათა დაკმაყოფილებას. ეს წრე მუდამ მუყაითი და ბეჯითი

ბედის შეიქმნა მაგან ფუძედ, რომელიც ამ ქვეყნად მძლავრი, ცივილიზაციანი ქარხნია საქართველოს სოციალ-დემოკრატიისა. წვიმ მისძღვნა დამსმარე პირები, რომელთა შორის ჭირვეული იყო თვითონ ბიუროს ლიდერი, რომელმაც ბევრი შეუწყო ნიეს სწავლა გაუნებრძი. იქვნენ ისინი ბესტავიონში დაბადებულნი გამოსული მდიდარი სახლი, რომელთაც უხვად გახსნეს იავნანა ქისები ახალგაზრდობისათვის.

ერთი მათგანი განსაკუთრებით მაგონდება, ბრწყინვალე-ვაჟკაცი იური დანე სიბარულიძე. თითქმის გაუნათლებელი, ბუნებით ისე იყო დაჯილდოებული სათნო თვისებით, რომ ყველას გვაკვირვებდა მისი საქმიანობა, ქვედმოქმედება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. მე მას ვიცნობდი კარგად, ვხვდებოდი ხშირად, რადგანაც მამაჩემის მეგობარი იყო. ორივემ, მუდამ მოსაწონად მიღებულ ვანი მაიაბრის დახმარებით დაარსეს რკინისგზის სადგურ ბომში, ხამურსა და ქარელს შუა, სამეურნეო ამხანაგობა და ორივენი უსასყიდლოდ ჰკეთებენ მუშაობას. სწორედ ეს იორდანე სიბარულიძე იყო დიდი თაყვანისმცემელი ნიეს ნიჭის და ხედი შეუწყო მის სწავლა-განათლებას საბოვარგარეულ საკმაო ნიჭიერი დახმარებით. ამავე დროს იორდანე სხვა ახალგაზრდებსაც ეხმარებოდა სწავლის მიღების საქმეში.

განსვენებულ ნიეს მეორე დამხმარეც აღმოუნდა. ეს იყო დიდი მრჭვნელი დავით სარაჯიშვილი, რომელმაც ცნობილი დიდი სასჯილო და საარაკო მრეწველობა ბააბაია. სარაჯიშვილი გერმანიაში იყო სწავლა-მიღებული, მიჯნელიდე გერმანული კულტურისა და სულ უნდა და გერმანული კულტურული მეთიხების გადმოტანა საქართველოში. ის იყო ევროპისტი განათლებით, მოწაფე კათედერ-სოციალისტის, პროფესორ ადოლფ ვაგნერისა. ეს პროფესორი მან ერთხელ მიეწვია საქართველოში, დაეარსა, აქ ნაწილი თიქმის ყველა ბრიშველიანი კუთხე ჩვენი ქვეყნისა. თვითონ ვაგნერს აწერილი აქვს დაწვრილებით ეს მივლინება და მოთავსებულია იგი მეცნიერის ხასიათების გამოცემაში. ძალიან სამწუხარია, რომ ჩვენში არავის მიუქცევია ამ ნაწარმოებისათვის სათანადო ყურადღება და ქართულად არავის გადმოუღია. დავით სარაჯიშვილი და მეუღლე მისი ეკატერინე, მრჭვნელ ბაქარია ფირაქიშვილის ასული, ძალიან ჰგავდნენ ნიეს, უბგავნიდნენ ნივთიერ დახმარებას ბერძანიაში. უთუოდ პროფესორ ვაგნერსაც აბარებდნენ ნიეს, მაგრამ მას არაფერ ეკრიანებოდა ყურისგდება მეცნიერ კათედერ-სოციალისტის ქადაგება, რადგანაც ნიეს მასწავლებლებში კარგ მარქსი და ენგელსი ირიბიით უყურებდნენ კათედერ-სოციალიზმს, - რისგანც რევიზიის საჭიროებამდე მიძღვნებას.

ასეა თუ ისე, ნიემ კარგად გამოიყენა საზღვარ-გარედ ყოფნა, გაეცნო გერმანიის და საფრანგეთის ცხოვრებას. თავის შთაბეჭდილებას და ნაფიქრს შესანიშნავ წერილებში გამოსთქვამდა. მისი კერძო და საჯარო წერილები მაშინდელი დროისა მეტად საყურადღებონი არიან ახლაც. იმ დროს თბილისში მოღვაწეობდა ქართულ კრებაში დაუდგრომელი, ენერგიული მოამაგე ახალგაზრდობისა, ცნობილი მწერალი

ბელეტრისტი და კუბრიცისტი ბიორნი ჩერეთელი, რომელსაც ახალგაზრდობის გატიობაში ბადალი არა ჰყავდა. იგი ამავე დროს მეტად დაინტერესებული იყო სოციალური საკითხებით. ამ დარგში გაწაფული იყო ბიორნი ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს რუსეთში. მაშინ რუსეთში გამეფებული იყო ებრედორებული ხარისხური მიმდინარეობა, - რუსულად ნარიბნიზმი. ამ მიმდინარეობას ეკუთვნიდნენ ნიჭიერი უდიდესი სოციალდემოკრატებიც, რომლებიც, მაგალითად, ბიორნი ვალენტინისძე ჰეიხანოვი, ვერა ზასულიჩი და სხვანი. მხედველობაში მიიღებენ რევოლუციონერებმა დაინახეს, რომ ჩვენი მხნეობით, მამაცობით და გამოჩინებით რუსეთის რევოლუციის საქმეს ვერ ვასწევდნენ, ყურადღება მიაქცეს ხალხის მასებს და მათს ასამოძრავებლად მიმართეს მასებისათვის ადვილად შესათვისებელ მარქსის თეორიას. ამ მიმდინარეობამ მიიკიდა მაგარი ფეხი რუსეთში და მიჩქმალა ხალხისური მიმართულება მიუხედავად იმისა, რომ ხალხისურ მოძრაობას ხელმძღვანელობდა ისეთი უბარჩინებული სი მოაზრივნე, რომლის დიდი ნაწილი ნიკოლოზ კონსტანტინესძე მიხაილოვსკი, რუსეთის ახალგაზრდობის სათაყვანებელი ჰირივნება და აგრეთვე სასტიკი მებრძოლი ეკონომიური მატერიალიზმისა და მარქსიზმის წინააღმდეგ.

ბიორნი ჩერეთელი არ ყოფილა მარქსის მოძღვრების მიმდევარი. მან დაინახა, რომ მარქსის მოძღვრება იჭერობს ქართველ ახალგაზრდობასაც. მას რომელიც შესწავლას მეთვალყურეს ჩვენი საზოგადოებრივი მოძრაობისას არ შეეძლო ბიორნი ჩერეთელი შეექცია ახალი ძალებისათვის. ამ ძალების ნაბიჯების ხმაური უკვე მოისმოდა გარედან. ბიორნიმ გადასწყვიტა ასპარეზი მოემზადებინა მათთვის და აი კიდეც მოიპატიჟა ისინი ებეჭდათ თავიანთი ნაწერები საკუთარ ორგანო „კვალის“ ფურცლებზე. გაჩნდნენ კიდეც ცნობილი კუბრიცისტები მარქსისტული მიმართულებისა. ყველაზე წინ გავდა ნიე ჟორდანია. მისი ნაწერები მისწონდა მკითხველ საზოგადოებას. მაშინდელი ბეჭდვის პირობების გამო ნიე იძულებული იყო თავის ნაწერებისათვის სხვადასხვა სახელები მოეფიქრა, მაგრამ მკითხველი მაინც ხვდებოდა, რომ ნაწერი ეკუთვნის ნიეს. ასე გაითქვა სახელი ფსევდონიმმა „საზოგადოებრივი“. ყველამ იცოდა, რომ ეს ნიე ჟორდანიაა. ასე რომ, როცა ნიემ დასტოვა უცხოეთი და შემოსდგა ფეხი სამშობლოში, ის უკვე ცნობილი მწერალი იყო. მას ჰყავდა თავის მკითხველი. გამოსვლისთანავე მალე გახდა სრულ-უფლებიანი ხელმძღვანელი „კვალისა“, ამ პირველი ქართული მარქსისტული სოციალისტური ორგანოსი.

კარგად მახსოვს, როგორ ჰგმობდნენ ბიორნი ჩერეთელს მისი მატერიკის წუნდებელნი. უკვირდათ თუ როგორ ერთვნულმა მოღვაწე მწერალმა ხელში ჩაუგდო ასპარეზი ერის და სამშობლოს უარმყოფელთ. მკაცრი საყვედურები გაისმოდა ყოველ მხრივ. ბიორნი ჩერეთელი შეურყეველი იყო. აუღელვებლივ უპასუხებდა მგმობელთ: მე რწმენა მაქვს ამ ახალგაზრდების. ვიცი იმედს გავიმართლებენ; ისინი ხალხს მისდევენ და ხალხი ხომ თავის მტერი არ იქნებაო. და აი ახლა ხომ ყველა დანი ვხედავთ, წინანდელი ვითომ მგმობელნი, უარმყოფელნი ერივნული იდეალისა შეიქმნენ ურეკი დამცველნი ჩვენი ერივნული სიწმიდისა. მომავალმა გაამართლა ბიორნი ჩერეთელი. ეს ისეთი ამბავია ჩვენი საზოგადოებრიობის ისტორიაში, რომ ყველას უნდა გვახსოვდეს. დიახ! დიდი სიფრთხილეა საჭირო საზოგადოებრივ მოვლენათა შეფასებაში. გულმისნობა ადვილი არ არის. საჭიროა მოთმინება, დაკვირვება და მიუკერძოებლობა!

ნიემ დაიწყო „ძველის“ ნგრევიდან, რომ შეექმნა იდეალი მტკიცე ნიადაგი ერის განვითარებისა და აღორძინებისათვის. როცა ჩაიბარა მშობელი ხალხის მეთაურობა, მან საოცარი შორსმჭვრეტელობით დაიწყო ფრთხილი მუშაობა მშრომელ ხალხში, ნიჭიერად გაანალიზა, თუ რას ნიშნავს მისთვის ერივნულ-სახელმწიფოებრივი წესწყობილება. საქართველოს სახელოვანმა ისტორიამაც თანაგრძნობით გადუშალა თავის მიმზიდველი კარებიდნები. მაღლა ეჭირა საქართველოს ერივნული დროშა. ქართველ ერში აღარ მოიძებნებოდა არც ერთი ეჭვით ან უნდობლად მაყურებელი. ყველამ თავი მიიყარა ამ დიადი დროშის ქვეშ. ჩვენმა გულხმიერმა მთამაც, რომელსაც სჯეროდა, რომ მის საყვარელ გმირს მხოლოდ „მიჰკუდებია ნეტარსა“, - იფიქრა, რომ გმირს გამოეღვიძა და განაგრძობს მოქმედებას სამშობლოს საკეთებლად. ეს შარავანდედით შემკული დროშა განსვენებულმა ღირსეულად ატარა, როცა მჭიდროდ შეკრულმა ქართველობამ მას ჩააბარა ბედი თავის ქვეყნისა, მოსთხოვა ყველა ზეშები მიეღო, საქართველოს ძველი სახელმწიფოსათვის აეცილებინა ყველა დამაბრკოლებელი ბარემიებანი რათა თავისუფალ ქვეყანას განეგრძო თავის სავალი გზა. ჩვენს თვალწინ გაშალა მხცოვანმა მოღვაწემ თავის ნიჭიერი მუშაობა აქ საზღვარ-გარედ, რომ ეს დავალება აღესრულებინა პირნათლად. ხელიდან არ გაუშვა არც დრო არც საბაბი, რომ არ გამოეყენებინა დიად საქმისათვის. დიდი იმედია გამოსახული ჩვენი ერისათვის. არ არსებობს არც ერთი ქართველი ურჩმუნო, უნდობლობით განწყობილი ჩვენი ერივნული იდეალის განხორციელებისადმი. განსვენებული თავის სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ქართულ სალარაჯოზე იდგა. დაამთავრა თავის მუშაობა მით, რომ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ჩვენი იმედის განხორციელებას. უკანასკნელ წუთამდე ეს სწამდა ჩვენს წარჩინებულ მოხუცს.

ეხლა ჩვენ აღარა გვყავს სახელოვანი მეთაური. აღსრულდა ბუნების კანონი - ბედნიერს მტრები ეხოცება. უბედურს კი მეზობარი უკვდებაი. ისედაც დაჩაგრულ ქართველ ერს ეს არ ესაჭიროებოდა: მაგრამ ჩვენმა ერმა იცის - ჭირსა შინა გამაგრება ისე უნდა ვით ქვითკირსა!

ამჟამად ჩვენ დაგვრჩა განსვენებულ მოღვაწის ძვირფასი ნეშტი და ანდერძი მისი - განაგრძოთ დაწყებული მუშაობა, სახელოვნად დავამთავროთ აღდგენა ჩვენი ქვეყნისა. ჩვენ გჯერა, რომ ეს ასეც იქნება!

აღსდგება საქართველო! ჩვენ მივასვენებთ ძვირფას ნეშტს სვეტიცხოველის სამკვიდროში, - იქ სადაც ასვენია წმინდა კვართი უფრისა ჩვენისა იესო ქრისტესი, მივაბარებთ მიწას, სადაც განისვენებენ ძველი მშენებელნი ჩვენი ერისა და ქვეყნისა! ეს იქნება დიდებული ჯამი ჩვენი ძველი და ახალი ისტორიის სიმბოლური გადაბმისა!

საქართველოს მატიანე

საქართველოს სახელოვანი ისტორიის ფურცლებზე მრავალი ღირსშესანიშნავი ამბებია მოთხრობილი, რომელნიც ჩვენს გულს მრავალნაირი ვრძნობებით ატკივებს და უფრო მეტად გვაყვარებს ძვირფას სამშობლოს, მამულ-დედულს...

.. ქართველს არ მიეტევება მშობელი ერის დიადი წარსულის დავიწყება ან უგულვებელყოფა! წარსულის დავიწყება ნიშნავს დავიწყებას თავისის თავისა. წარსულის დავიწყებით საფუძველი ეცლება, აზრი ეკარგება არსს და ბნელით მოცული ხდება მომავალი!

.არის ისტორიული დროები, რომელიც ქართველს მუდამ უნდა ახსოვდეს, გულით აფარის, სიზრდესთანავე გათვალისწინოს, განიცადის და გაიწრთვნას სულიერად; ამ ისტორიულ დროთა მოგონებით დაისახოს ჭმინდა მიზანი და იმა მიზნისაკენ იღვწიდეს დაუცადებლად, მარადჟამს, ყველგან...

გადავწყვიტეთ, ჩვენს მკითხველებს მივაგონით უმთავრესი სამახსოვრო ისტორიული დროები ყოველი თვისა, რომელიც, ისე ახალი ისტორიის კაბადონებიდან ამოკრებილი...

ივლისი

საქართველოს ეროვნული დღესასწაულებიდან ერთი მნიშვნელოვანი დღესასწაულთაგანი, რომელიც ქართველ ხალხს განსაკუთრებით უყვარს არის თ ა მ ა რ ი ს დ ღ ე, ჭირველი მაისი. ეს დღე მიძღვნილია საქართველოს დიდი მეფის, თამარისადმი, რომელიც გამეფდა მისი მამის გიორგი მესამის შემდეგ 1184 წელს და მეფობდა 1213 წლამდე. ისტორიას არ შემოუნახავს ცნობა იმისა, არის თუ არა ჭირველი მაისი თამარის დაბადების დღე, მაგრამ ხალხი მას თამარის დღედ აღიარებს ადრე უკვე შვიდი საუკუნის განმავლობაში. შეიძლება ეს დღე თამარის გამეფების დღე იყოს, მაგრამ ისტორია ამაზედაც არაფერს გვაუწყებს..

ზედმეტი არ იქნება მოკლედ მაინც შევეხოთ თამარის ეპოქას და მის მნიშვნელობას საქართველოს ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში. ვამბობთ მოკლედ, რადგან ეს ეპოქა,- მეტად თავისებური, მნიშვნელოვანი მოვლენებით მდიდარი,- მოითხოვს ვრცელ აღწერას.

თამარის მეფობის ხანას ქართველმა ერმა უწოდა „ოქროს ხანა“ და ეს შეფასება იყო სრულიად ღირსეული. მართალია, საქართველოს და მასთან ერთად კავკასიის ძლიერ სახელმწიფოს საფუძველი ჯერ კიდევ დავით აღმაშენებელმა ჩაუყარა, და ამ საფუძველს გულმოდგინედ და გონიერად ამაგრებდნენ მისი მემკვიდრეები, მაგრამ თამარის მეფობაში საქართველო-კავკასიის ძლიერებამ მაინც განსაკუთრებულ, მანამდე უხილავ საფეხურს მიაღწია. ქართველი ერის ჭინსვლამ, მისმა განვითარებამ და აყვავებამ თავი იჩინა ქვეყნის ცხოვრების ყოველ სფეროში. ამ მხრივ ბევრი რამ დამოკიდებული იყო თვით ქართველი ერის შემოქმედებითს ნიჭზე, ენერგიასა და მოქმედებაზე, მაგრამ თამარის ჭირისუფლობამაც უდიდესი გავლენა იქონია საერთო განვითარებასა და ერის

დაწინაურებაზე. თამარი იყო ბუნებით მმართველი და მტკიცე ნებისყოფის ადამიანი, რომელმაც მესძღვრის სასიცოცხლო და შემოქმედებითი ძალების სრული კონცენტრაცია და მისი გონივრულად მიმართვა ქვეყნის და ხალხის საკეთილდღეოდ.

დავიწყოთ თუნდაც საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობიდან. თამარის საქართველო ახლო აღმოსავლეთში უძლიერესი სახელმწიფო იყო რომელიც ტონის მიმცემად ითვლებოდა და ყველა მეზობელი და შორი სახელმწიფოები დიდ ანგარიშს უწევდნენ. კავკასია იყო გაერთიანებული საქართველოს ირგვლივ, რომელიც პოლიტიკურად და ეკონომიურად, ისე კულტურულადაც. ეს იყო ძლიერი ბაგა, რომელიც თამარის სამეფობელოს ურყევობას ანიჭებდა. ეს იყო მიზეზი აგრეთვე იმისაც, რომ გარეშეულად მორჩილი მაჰმადიანური მსოფლიო მაინც ეძებდა დროს და შესაფერ გარემოებას თამარის დასამარცხებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ თამარის ხანა იმების იმპერიობით ხასიათდება, მაგრამ მის მეფობაში მაინც მოხდა რამოდენიმე დიდი მნიშვნელობის იმი, საჭირო საქართველო-კავკასიის ძლიერების შესანარჩუნებლად! 1192 წელს, სელჯუკთა სულთანმა დიდი ჯარებით შესძლო თამარის მორჩილებაში მყოფი შირვანის შაჰის განდევნა და მისი ქვეყნის დაპყრობა. ეს იყო დიდი მუქარა კავკასიის აღმოსავლეთიდან. 1195 წელს თამარმა, შამქორთან, სასტიკად დაამარცხა თავგასული აბუ ბექრის მრავალრიცხოვანი დამშქარი და ამით კვლავ უზრუნველჰყო აღმოსავლეთ კავკასიის უშიშრიება. ცხრა წლის შემდეგ მდგომარეობა გართულდა კავკასიის სამხრეთ-დასავლეთითაც. ბიზანტიის იმპერია იწყებს დანაწილებას. 1204 წელს კონსტანტინოპოლი აიღეს ჯვაროსნებმა. აი ამ დროს თამარი შედის დაზისტანში და ჰაფაგონიაში და ჰქმნის ისტორიაში შემდეგ კარგად ცნობილ ტრაპიზონის იმპერიას. ახალი იმპერია რომელიც საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის მტკიცე ჯებირად გადაიქცა, თამარმა ჩააბარა თავის ნათესავებს, კომნენთა გვარს. მეფედ ადექსი კომნენი დასვა. თამარის ასეთმა ნაბიჯმა საშინლად აღიზარდა სელჯუკთა სულთანი, რომელიც აქამდე მირჩილად იყო, მაგრამ ეხლა კი იწყო საომარი სამზადისი. 1206 წელს სელჯუკთა დამშქარი სულთან რუქნ-ად-დინის წინამძღოლობით შემოესია სამხრეთის საზღვრებს და ბოლისტკვისთან დაბანაკდა. თამარის ჯარმა სულთანის ოთხასი ათასიანი დამშქარი თითქმის მთლად გაანადგურა და გაჰყრიდა მათგან სამეფოს სამხრეთის საზღვრები. ამის შემდეგ მეფემა დიდხანს ვეღარ გაბედა საქართველოს და კავკასიის შეწუხება. ჰირიქით, მტრის თავგასულობის საბოლოო აღმოსაფხვრელად თამარმა გაიმაგრა სპარსეთზე და თავრიზამდე დაიჭერი. ეს საჭირო იყო და შედეგიც გამოიღო: საქართველო მონღოლების შემოსევამდე მტერს აღარ შეუწუხებია!

ჰოლიტიკურად ძლიერი საქართველო, ძლიერი გახდა ეკონომიურადაც. საქართველო უმდიდრესი ქვეყანა იყო მთელს ახლო აღმოსავლეთში, იმ დროისათვის დაწინაურებული ცივილიზაციით და ნივთი-

ერი კულტურით,მისახედობის მატერიალური კეთილდღეობა,რომელიც უმთავრესად მარკიტინგულებაზე ეფუძნება,განსაკუთრებით გაუმჯობესდა. საქართველოს მიწა ჰკვებავდა ათ მილიონ მოსახლეობას,თამარის დროინდელი ქინძისთავი ამაოდებად არ დაიკარგებია ქართველერს.

თამარის ხანაში აღმავლობა მიიღო სულიერ მოძრაობასაც. განსაკუთრებით ცნობილია სულიერი მოძრაობა 1184-85 წლებში, რომელიც თავისი წინაარსით იგივე იყო,რაც შემდეგში ცნობილი გახდა ბრიტანეთის „თავისუფლების დიდი ქარტია“. თამარმა მიაგნო ხალხის უფლებრივი მდგომარეობა.მეტი თავისუფლება და უკირატესობები მიანიჭა ადამიანის პირველებას.ადამიანის დაფასება, დაწინაურება და ამაღლება ხდებოდა მისი პირადი ნიჭის და ღირსების მიხედვით და არა გვარიშვილობით.სოციალურ რეფორმებს თან მოჰყვა საეკლესიო და საქართველოში მცხოვრებ სხვა ერისკაცთა თანასწორუფლებიანობის რეფორმები. ეკლესიას ჩამოაშორეს მიწები და ყმირსი სასულიერო პირები , რის შემდეგ სასულიერო წოდებას საკმაო აღგილი დაეთმო სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. საეკლესიო აღგილ-მამული განაწილდა საერთაშორისოდ და ერის საერთო მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. საქართველოში მცხოვრებ არაქართველთა უფლებები ხომ ფრაიცუროდ დაცული იყო და არასდეს შეხებია იგი საქართველოში! თამარმა ეს ფრაიცია უფრო გააძლიერა და გააფართოვა. ამის დამამტკიცებელია სომეხთა,არაბთა და

საკმარისია იმპერიული ისტორიკოსების თხზულებანი,რომლებიც ერთხმად ტაშით ადიდებენ თამარის კაცთმოყვარეობაზე და უხსოვარ მფარველობა-მბრუნველობის შესახებ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია თამარის ეპოქის კულტურული აღმავლობა,უმაღლეს მწვერვალზე ავიდა ლიტერატურის და ხელოვნების განვითარება. შეიქმნა მაღალმხატვრული და მაღალ-იდეური ნაწარმოებები საერო და საეკლესიო ხასიათისა. თამარის ეპოქამ წარმოშვა შოთა რუსთველის უკვდავი გენია,რომლის კალამს ევუთვნის მსოფლიო ლიტერატურის მშვენება - პოემა „ვეფხის ტყაოსანი“. ეს უკვდავი თხზულება უმღერის სიყვარულს,მეგობრობას,რაინდობას და სხვა კეთილშობილ გრძნობებს,რომლითაც ადამიანი ბუნებით არის დაჯილდოებული.შოთას ნაწარმოებში გატარებულია მაღალი საკაცობრიო იდეები: ადამიანის თანასწორუფლებიანობა, სქესის თანასწორობა,მიყვასის სიყვარული,სამშობლოსათვის თავდების გრძნობა,და სხვა.თამარის ეპოქამ შეჰქმნა მაღალი ხელოვნება,მუსიკა,მხატვრობა. დღემდე დარჩენილი ხელოვნების ძეგლები მეტყველებენ იმ მაღალ კულტურისნობაზე,რომელიც ქართველ ერს ჰქონდა თამარის ხანაში,ანუ როცორც ქართულმა ისტორიამ მას უწოდა - ოქროს ხანაში.

თვით თამარი,როცორც ჟირველება იყო სათნო და მოწყალე. მისი ისტორიკოსების ცნობით,მთელი მისი მეფობის განმავლობაში,თამარს არავინ დაუსჯია სიკვდილით. სულიერ მშვენებასთან ერთად თამარი შემკული იყო ჩარმტაცი აღნაგობითაც.მისმა მშვენებამ სახელი გაი-

ქცა მთელს მამინდელ მსოფლიოში. მასზე მაღობენ აღმოსავლეთის და დასავლეთის საუკეთესო მგოსნები.

აი რატომ დღესასწაულობდა ქართველი ერი თამარობას! მაისი თამარის თვეა...თვე ,რომელიც განსაკუთრებით უყვარდა ქართველს. იგი ხომ უმშვენიერესი თვეა,რომელსაც გაგაფხულის ჩარმტაცი მშვენიერება თავის აკოცებას აღწევს და რომელსაც ადამიანის გული განსაკუთრებული ნეტარებით სძღერს. ჭეშმარიტად ამ თვეს ქართველნი „ვარდისას“ უწოდებენ,რომელსაც ეს კეთილშობილი ყვავილი,სიყვარულისა და აღმაფრენული მშვენიერების შეურაცხებელი ნიშანი,იშლება და იფურჩქნება.ეს თვე შეეფერებოდა თამარის მშვენებას,მისი ღრიის აყვავებულ საქართველოს. თამარის სახელს თაყვანს სცემდნენ ათეული თაობები,რომლებიც ერისკული მოდიანობის და ძლიერების გამომხატველს.. თამარის სახელს გულით აფარებდნენ ქართველნი საუკუნეთა განმავლობაში,რომლის ქართული სულის უჭკნობობის ამსახველს. უმრავლეს ციხე-სიმაგრეთა და ეკლესიათა ნანგრევებს საქართველოში თამარის სახელი ამშვენებს. საქართველოს ხეობები და დაბა-სოფლები სავსეა ლეგენდებით და თქმულებებით თამარზე. დიდი იყო სიყვარული ქართველი ერისა ამ ნეტარად მოსახსენებელი ადამიანისა!

ისტორიიდან ვიცით,რომ თამარი ჭირველ მაისს ახლენდა თავისი მხედრობის დათვალიერებას დიდუბის მინდორში. მხედართმთავარნი ამოწმებდნენ ამ დღეს თავიანთი მხედრების საბრძოლო უნარიანობას და მათს იარაღს. ამ დღეს ხდებოდა სამხედრო ვარჯიში,შეჯიბრი სხვადასხვა სახის ფან-ჯიმნასტიკაში. ეს ჩვეულება დარჩა ფრაიცად თითქმის ბოლომდე. ჭირველ მაისს- თამარის დღეს მთელს საქართველოში იმართებოდა შეჯიბრი ბურთაობაში,ცხენოსნობაში,ჭყარ-ჯიმნასტიკაში,სროლაში,კრივში და სხვა. აღმოსავლეთ საქართველოში განსაკუთრებით გავრცელებული იყო ყაბახობა. ყაბახზე გამოდიოდნენ საუკეთესო ვაჟკაცები,იმართებოდა შეჯიბრი სროლაში,ჩოგან-ბურთში და ცხენოსნობაში. დასავლეთის ქართველებს ამ დღეს ძალიან უყვარდათ ლელო-ბურთი. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სხვადასხვა კუთხეები:ბურია და სამეგრელო,იმერეთი და სვანეთი. თამარის ჭირველი ისტორიკოსი,-რომელიც ცნობილი ქართველი მეცნიერის ციხელი ჭენებლის აზრით და მტკიცებით შოთა რუსთველი იყო,- მოგვითხრობს,რომ თამარს ძალიან უყვარდა ბურთაობის ცქერა. მისი მეუღლე - მეფე დავითი,განთქმული მობურთალი იყო. მან და ქართველმა ლიდებულებმა რამდენიმეჯერ სასტიკად დაამარცხეს ქვეყნის აღმოსავლელი მობურთალნი. აქედან ცხადი ხდება,რომ თამარობაში შემონახული ბურთაობის კულტი,არის ანარეკლი ისტორიული სინამდვილისა.

დღეს თამარობა აკრძალულია საქართველოში! კომუნისტურ ხელისუფლებას ეშინია თამარის სახელის. მაგრამ თამარის სახელს ქართველი ხალხი არ ივიწყებს..არ დაივიწყებს! თამარის სახელი და ხსოვნა ისე ღრმად აქვს ქართველს სულში ჩაქსოვილი,ისეა განმტკიცებული მისადმი სიყვარული საუკუნეთა

მანძილზე, რომ არავითარ ძალას ამ სიყვარულის გაქარწყლება, ამ ხსოვნის აღმოფხვრა და დავიწყება არ ძალუძს!

ყოველ განათლებულ ერს დასავლეთ ევროპაში ძეგლები აქვს აგებული ერის დიდებული შვილებისათვის მათს სამახსოვრად და სადიდებლად. ეს ძეგლები შემკულია ყოველთვის ყვავილებით, რომელიც ხარხს მიაქვს, ხარხის სიყვარულის გამომხატველია და მისი მზრუნველობის მაჩვენებელი. ძეგლი აგონებს გარდასულ დიდებას აღამიანს, სწრთვნის მის ჯანრიობას და ამახვილებს მამულის სიყვარულს...

რაღენი გმირი, რაღენი თავდადებული შვილი ჰყოლია საქართველოს, ვინ დასთვლის!? მაგრამ მათი ძეგლები კი არსად ჩანს.. თამარის ძეგლი უნდა ჰქონდეს ალმართული ქართველ ხალხს რიგირც დედაქალაქში, ისე სხვა ისტორიულ ადგილას. მართალია თამარს ქართველმა ხალხმა თავის გულში აუგო უკვდავების ძეგლი, მაგრამ საჭირია სხვაგვარი ძეგლიც.

რიდესაც საქართველო დამოუკიდებელი სამეფო იყო, მტრის გამულმებული შემოსევებისაგან მას შესაძლებლობაც არ ჰქონდა ძეგლების აღმართვაზე ეზრუნა. და თუ ააგებდა - მტერი მას უწყალოდ უნგრევდა. განა საქართველოს დიდებული ეკლესიები ძეგლებს არ წარმოადგენენ?! მაგრამ ხომ ვიცით რა განადგურებას განიცდიდნენ ისინი ათეული საუკუნეებისგანმავლობაში?!

რიდესაც საქართველოში რუსთა ძალაუფლება დამკვიდრდა და თითქოს საქართველომ ერთგვარად მოისვენა, არც მაშინ მიეცა მას საშუალება და უფლება თავისი დიდებული გმირების უკვდავსაყოფად ეზრუნა და მათთვის ძეგლები აღემართა, რადგან მეფის რუსეთი დაუძინებელი მტერი იყო ქართული ეროვნული კულტურისა და ჯერთიდ ქართულ ნაციონალიზმს ყოველი საშუალებით ებრძოდა. მეფის რუსეთის მიზანი იყო არა ქართველი გმირების ამოფიქვება, არა ქართული ეროვნული სულის განმტკიცება, არამედ მისი სრული გარუსებისაკენ მიიდტვიდა და მთელი 117 წელი ამის ცდაში იყო. რუსეთის მთავრობა და ვედიკორისი მოვინისტები განსაკუთრებით ებრძოდნენ დიდი თამარის სახელს, ჩირქს სცხებდნენ მას და აგინებდნენ ამ წმიდათა-წმიდა ადამიანს, რომელიც სარიცხვი ხატივით ჰქონდა გულში ჩასვენებული ქართველ ერს. ამ უსჯულოებას ადამიანს რუსები მეძავად გვინათლავდნენ. ამაზე მორს განა შეიძლება წასვლა და შეურაცყობა ძველი კულტურის მქონე ერისადმი!

რუსეთის ასჩვიდმეტი წლის ბატონობას მოჰყვა მიკედ ხნიანი დამოუკიდებლობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა, რომელიც ადგად თამარს უსათუოდ აღუმართავდა ძეგლს რომ დასცდომოდა და ამჯერად იგი წითელ რუსეთს არ დაეკარ!

ბოლშევიკური წესწყობილება კი თამარის ძეგლის აგებაზე რიგორ იზრუნებდა!? თამარი, რიგირც მეფე და წინამძღოლი ქართველი ერისა, მიუღებელია კომუნისტურ-მარქსისტული მოძღვრებისათვის. **1937** წელს თბილისში აღმართეს უკვდავი შოთას ძეგლი, მაგრამ თუ ბოლშევიკებმა ამის ნება დართეს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ შოთა რუსთაველი და მისი საკაცობრიო მარადიული იდეალები თავის საკუთრებად გამოაცხადეს, ე.წ. კომუნისტურ სამყაროში განხორციელებულად აღიარეს! დაცინვა ამაზედ მეტი წარმოუდგენელია!

მაგრამ თამარისათვის ასეთს გამონაკლისს ბოლშევიკები არ გააკეთებენ! თამარი ეღიდება საქართველოს სრულ ეროვნულ და სახელმწიფოებრივ თავისუფლებას და დამოუკიდებლობას..

რიდესაც ეს მარად სანუკვარი და სანატრელი იქნება-სურვილი განხორციელდება და საქართველო უცხო დამპყრობელისაგან განთავისუფლდება, ჩვენი ვალია თამარს დიდებული ძეგლი აუგოთ, არა ერთი და ერთგან, არამედ მრავალი და მრავალგან. მხოლოდ ამ ძეგლთა შორის მთავარი ძეგლი უნდა აღიმართოს დიდუბის მინდორში, სადაც თამარი თავის მხედრობას ამოწმებდა და სადაც მჟღავნდებოდა ქართველი ხალხის სიყვარული და თავდადებისათვის მზადყოფნა მამულისათვის. უნდა აღიმართოს ძეგლი და ამ ძეგლზე ოქროს ასოებით დაეწერის შემდეგი სიტყვები:

„დედაფალი დედოფალთა, შვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, თამარ, ასული გიორგისა, მესიის თაყვანისმცემელი, მეუფე ქართველთა“

და შემდეგ სიტყვები ვაჟა ფშაველისა:

ქალი, ქართველთა სულის-დგმავ,
ქალი, ქართველთა დედაო!
ტყუილად ვამბობთ შენს სიკვდილს,
თამარს ცოცხალსა ვხედავთ.
ბუდეში ბეღინთხავ დამკრალა,
წათობს და არა ქნევსთ.

შენა ხარ ერის სიცოცხლე,
თვით არ მომკვდები.
მიწყალედ ბევრჯერ ქართველთა,
ჩვენი დამაგი ხედაო!

ამ ძეგლის ირგვლივ უნდა გამართოს დიდებანია ქართველმა ერმა და თაყვანი სცეს ქართველის დედოფალ დედას! სანამ ეს ნეტარი წამი დადგება, მანამ ჩვენი ვალია არ დავივიწყოთ თამარი და ვისწრაფოთ ჩვენი მიზნის განხორციელებისაკენ!!

.....
.....
....
..

ᲛᲔᲝᲗᲔ ᲛᲐᲘᲡᲘ, 1920.

1920 წლის 7 მაისს, მოსკოვში დაიდო ხელშეკრულება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და რუსეთის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკას შორის. ხელშეკრულებას ხელს აწერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მხრიდან გრიგოლ ურატაძე და საბჭოთა რუსეთის მხრივ საგარეო საქმეთა კომისრის მოადგილე დეონ კარახანი. ხელშეკრულება შეიცავს თექვსმეტ მუხლს. დედააზრი მოცემულია ჯერვლისა და მეორე მუხლში: მუხლი ჯერვლი:- „რუსეთი ყოველივე ჯეროვნის გარეშე სცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს და სრული ნებით უარს ამბობს ყოველსავე სუვერენულ უფლებაზე, რომელიც ეკუთვნოდა ძველ რუსეთის იმპერიას საქართველოს მიმართ“.

თვნიდა რუსეთს ქართველ ერზე და ქვრივ-ობაზე".

მუხლი მეორე:- „ადგება ნაამა ხელშეკრულების კინვედ მუხლში განცხადებულ კონცესიებს, რუსეთი თავის მოვალეობად აღიარებს უარი სთქვას საქართველოს შინაურ საქმეებში ყოველსავე ჩარევაზე".

ამგვარად წითელმა რუსეთმა იცნო იურიდიულად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოკიდებლობა და უარი სთქვა ყოველივე სუვერენულ უფლებაზე, რომელიც რუსეთს ქართველ ერზე და მის ტერიტორიაზე ეკუთვნოდა! წითელი რუსეთის მიერ გადადგმული ამ ნაბიჯს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ეხლაც! რიგით აღასრულა თავისი სიტყვა და ჭირიბა ბოლშევიკურმა რუსეთმა, ყველასათვის ცნობილია: მან ეს ხელშეკრულება დაარღვია და ვერაფერად დაესხა თავს საქართველოს, დაიკერი იგი და ძალით შეუერთა თავის წითელ იმპერიას, როგორც საბჭოთა რესპუბლიკა, სავსებით დამოკიდებული კრემლის დიქტატურაზე!

შვიდი მაისის ხელშეკრულების დარღვევით რუსეთმა მთელს ქვეყნიერებას კიდევ ერთხელ დაუმტკიცა, რომ მასთან დადებულ ხელშეკრულებას არავითარი ღირებულება არა აქვს და რუსეთი ამგვარ ხელშეკრულებებს უბრალო ქაღალდის ნაგლეჯად სთვლის, რომლის გადაგდებაც მას ყოველთვის შეუძლია თუ მისთვის მიუღებელი და არა სასარგებლოა. ამ ნაბიჯითვე რუსეთმა დაგვანახვა, რომ რეჟიმებს და წესწყობილების ფერებსაც არა აქვს მნიშვნელობა: რუსეთი რჩება რუსეთად! მეფის რუსეთმა დაარღვია 1783 წლის 24 ივლისის ტრაქტატი დადებული ირი სუვერენული სახელმწიფოს მიერ - საქართველოს სამეფოსა და რუსეთის იმპერიის მიერ! მაშინაც რუსეთმა მისწრა საქართველოს სამეფო და იგი უბრალო გუბერნიების სახით შეუერთა თავის თეთრ იმპერიას, სრულიად დამოკიდებული ჰეტერბურგის თვითმპყრობელობაზე!

ორივე ხელშეკრულება, ძველიც და ახალიც, 1783 წლისაც და 1920 წლისაც ნამდვილი საერთაშორისო იურიდიული დოკუმენტია, რომლებმაც დაიმსახურეს კიდეც ცნობილ მეცნიერ-იურისტთა და სამართლის მცოდნეთა დიდი ყურადღება. საერთაშორისო სამართლის მეცნიერნი ერთხმად სდებენ ბრალს რუსეთს და აღიარებენ ხელშეკრულებათა დამმრღვევ მხარედ.

ამჟამად, როდესაც საქართველო დაჩაგრობილია და მისი შვილები, შინ და გარედ, ერთგული თავისუფლებისათვის იბრძვიან, - ამ ხელშეკრულებათა ამოქმედებას დღევანდელი საერთაშორისო ვითარების გადაჭრილ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს. საერთაშორისო ასპრის გამახვილებისა და გამოვიძებისათვის ამ ხელშეკრულებათა დარღვევის ირივე შემთხვევას რუსეთის მიერ, დიდი დამაჯერებელი როლი შეუძლია ითამაშოს მსოფლიო დემოკრატიის მიმართ. ამიტომ, ჩვენი ვალია ეს დოკუმენტები გონიერად გამოვიყენოთ!

.....

როგორ ეწამენ ქართველ პატრიოტებს მაშინდელ რუსეთში.

შესრულდა ოცდა ათი წელი მას შემდეგ, რაც საქართველოს ისტორიამ კიდევ ერთი სისხლიანი ფურცელი გადაშალა და კიდევ ერთხელ აღნიშნა ქართველ ჯალათთა ბრწყინვალე გმირობის ამბავი! 15 მაისს, 1923 წელს ბოლშევიკების საოკუპაციო ხელისუფლებამ დააპატიმრა 15 ქართველი, რომელთა უმრავლესობა გამოჩენილი მხედრები და სამხედრო მოღვაწეები იყვნენ, რომელთა მაგალითად - კონსტანტინე აფხაზი, გენერალი ვალერიან ლეკიშვილი, გენერალი ალ. ანდრონიკაშვილი, პოლკოვნიკი გიორგი ხიმშიაშვილი, პოლკოვნიკი რისტომ მუსხელიშვილი, პოლკოვნიკი ედიშერ გურასაშვილი და სხვები. მათ ბრალდებად საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის და აჯანყებისათვის სამხედრო სამსახური. ეს გამოჩენილი მხედრები იყვნენ ჩვენი ცნობილი სამხედრო ცენტრისა, რომელიც უშუალოდ ეძღვნებოდა საქართველოს განთავისუფლების კომიტეტს. ბოლშევიკების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის მისპობის შემდეგ ქართველი ხალხის უკმაყოფილება დღითი დღე იზრდებოდა. ერი იარაღს ისხამდა და ემზადებოდა განმანთავისუფლებელი ბრძოლისათვის. საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის საიდუმლო განკარგულების თანახმად ამბოხება უნდა დაწყებულიყო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი კუთხეებიდან და აქედან მთელს საქართველოს მისდებოდა. სამხედრო სტრატეგიისა და ტაქტიკის წარმოება ჩაბარდა სამხედრო ცენტრს. 1922 წელს ხევსურეთში დაიწყო აჯანყება, რომელსაც მეთაურობდა ცნობილი ქართველი, სახალხო გმირი, ქიზიყის ორი-ქაქუცა ჩიღოყაშვილი. ხევსურეთიდან აჯანყება სწრაფად გადავიდა საქართველოს სხვა ნაწილებშიც...

მაგრამ ბედმა უმუხთლა საქართველოს! უთანასწორო ბრძოლაში აჯანყებულები დამარცხდნენ და გაიფანტნენ მთიან ნაწილებში, სადაც კიდევ რამოდენიმე წელი გრძელდებოდა ბრძოლა ოკუპანტების წინააღმდეგ ქაქუცას მეთაურობით.

აჯანყების დამარცხების შემდეგ ბოლშევიკებმა შესძლეს უმთავრესი მეთაურების დაპატიმრება და მათს შორის სამხედრო ცენტრის წევრებისაც!

მისკოვის ამენტებს, პირისსხლიან ჯალათებს, პირველად განზრახული ჰქონდათ სამხედრო ცენტრის წევრების საჯაროდ გასამართლება და ე.წ. „რევტრიბუნალი"-სათვის გადაცემა. მაგრამ ხალხის მეღვიძების შიშით ეს განზრახვა თითონვე უკუ-აგდეს და გადასწყვიტეს ჩეკის ჯურღმულებში გადაეწყვიტათ საქმე. დანიშნეს სამანგებო კომისია, რომელსაც უნდა გამოეძანა განაჩენი. კომისიაში შედიოდნენ: ცნობილი ჯალათი პანკრატოვი (კავკასიის განსაკუთრებული განყოფილების თავმჯდომარე), მიხელევსკი (ამიერ-კავკასიის ჩეკის თავმჯდომარე), ჩეკისტი ამუკინი; რუსეთის საოკუპაციო არმიის სამხედრო საბჭოს წევრი სერგო ორჯონიკიძე; მამია ორახელაშვილი; საქართველოს ჩეკის თავმჯდომარე

ХХХ

მაში სახელი უკვდავი იქნება მხრადაც! საქართველო არასოდეს არ დავიწყებს მათ, და რიგებად იგი მონიბიან თავს აიშვებს და კვლავ თავისუფლებას მოიპოვებს, ამ სასახელო ბრძოლებს უკვდავების ძეგლს აუმართავს! დიდება სამშვიდობოს მამულიშვილებს!!

. . . . . .

. . . . . .

. . . .

.

ოცდაექვსი მაისი

დიდი ისტორიული თარიღი, რომელიც მეოცე საუკუნის ისტორიამ გადაბეჭდა – ეს ოცდაექვსი მაისია! ამ დიდებულ დღეს, 1918 წ. ნამუადლევის ხუთს საათსა და ათ წუთზე, ბათუმში გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგი აქტი:

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

„მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისაგან შეკუმშულმა საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

„რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი ცვლილება შეიქმნა, რომ მთელი სამთავრო ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დასტოვა ამიერ-კავკასია.

„დაჩნენ რა თავისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერ-კავკასიამ თვით იღვწა თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და ჯაფრინობა და შესაფერი ორგანიზება შეჰქმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზედმავლენით ამიერ-კავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერ-კავკასიის კოალიციური მთავრობაც დაიშალა.

„საქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეჰქმნას, მისი სამუალებით გარეშე ძალის მიერ დაკარგობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

„ამისდა თანახმად საქართველის ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველის ეროვნული ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა – დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით, მისაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში თანასწორად უგრუნველ-ყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, წოვანური მდგომარეობისა და სქესისა.

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ერს.

7) დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით და დროებითი მთავრობა ანგარიშსმგებელია საბჭოს წინაშე“.

დამოუკიდებლობის ეს აქტი 12 მარტს, 1919 წელს დაამტკიცა საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ. „საქართველოს დამფუძნებელი კრება – ნათქვამია დადგენილებაში – არჩეული პირადად, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციონალური საარჩევნო სისტემით ირივე სქესის მოქალაქეთა მიერ, – თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წ. მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წლის მაისის 26-ს, ნამუადლევის 5 საათ. და 10 წ. თბილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს!“

ამგვარად, საქართველომ აღადგინა თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფო არსებობა, რომელიც მან დაკარგა 1801-1810 წლებში. საუკუნეზედ მეტი ხნის განმავლობაში იბრძოდა საქართველო ხან აქტიურად, ხან პასიურად, რათა თავისი წედახული ეროვნული უფლებები აღედგინა. ამ ღვინიდა მიზნისათვის იღწვოდა საქართველოს ყოველი შვილი: თავადი და გლეხი, აზნაური და მუშა, ვაჭარი და მეცნიერი. ამ ბრძოლას შესწირა საქართველომ დიდი ძალღონე და მისი გამარჯვებით დამთავრებისათვის გაიღო განუზომელი მსხვერპლი.

26 მაისი იყო დაგვირგვინება ამ ბრძოლისა გამარჯვებით! ამიტომ არ შეიძლება ეს მონაკვეთი აღიარებულ იქნას მონაკვეთად ერთი რომელიმე პარტიისა, ანუ ერის რომელიმე ნაწილისა, არამედ, ეს მონაკვეთი ეკუთვნის მთელს ქართველ ერს და იგი არის შედეგად მიღებული მთელი ერის საუკუნოვანი ბრძოლისა. ნეტარხსენებული ნიე ჟორდანია თავის მოგონებებში ძალიან ბურახდიდად მოგვითხრობს რიგორც პირადს ისე საგომადიებრივ განწყობილებას ეროვნული საკითხის მიმართ, რომელიც მის დრის არსებობდა. იგი არ ფარავს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას იგი და მისი პარტია თავისებურად უდგებოდა და თითქმის ბოლომდე ვერ გადაეწყვიტათ – უნდა ყოფილიყო საქართველო დამოუკიდებელი თუ არა. მაგრამ, რიგებად ისტორიულმა ჟამმა დაგვეკა, ნიე ჟორდანიას და მისმა თანამებრძოლებმა ბურადად აღამრთოს თავი და სამშობლოს დაუმტკიცეს ის, რაც მას შეეფერებოდა და სურდა! პარტიულობამ აღგილი დაუთმო უკვდავ ეროვნულ მრწამსს, რომელიც მარადიულ არსებას! 26 მაისი ნაყოფია უკვდავი და მოდიანი ქართული სულისა!!

. . . . . .

30 მაისი 1811

საქართველოს ანექსიის შემდეგ 1801 წელს, და უძველესი სამეფო დინასტიის, საქართველოს სამეფოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი არსებობის გაუქმებისთანავე, რუსეთის მეფის მთავრობამ თვალი მიაბჯინა ივერიის უძველეს ეკლესიასაც. მეფის მთავრობა, კერძო რუსეთის სინოდი, ვერ ითმენდა ერთმორწმუნე, ძველი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას, სურდა მისი გაუქმება და დამორჩილება. მაგრამ, მიუხედავად დიდი სურვილისა, ათი წლის განმავლობაში რუსეთი მაინც იძულებული იყო ქართული ეკლესიისათვის ხელი არ ეხლო, ამის მიზეზი უმთავრესად მდგომარეობდა იმაში, რომ რუსეთის მთავრობას არ გაუმართდა იმედი საქართველოს უმტკივნეულოდ მთანთქვისა. ანექსიისთანავე ქართველმა ერმა აღმართა იარაღი უსამართლობის წინააღმდეგ და მოითხოვა 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განაღდება. პირველ ათს წელში აღმოსავლეთ საქართველოში მოხდა სამი დიდი და რამოდენიმე მცირე აჯანყება, რომელთაგან განსაკუთრებით სისხლიანი და მძაფრი გამოდგა 1804 წლის ამბოხება, ცნობილი მთიულეთის ამბოხების სახელით, თუმცა ეს ამბოხება არ იყო შემოზღუდული მარტო მთიულეთით, არამედ იგი მოიცავდა მთელს აღმოსავლეთ საქართველოს და ნაწილობრივ გადადიოდა დასავლეთშიც.

ასეთს პოლიტიკურ და მძიმე ადმინისტრაციულ მდგომარეობაში მეფის რუსეთი იძულებული იყო ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებაზე დროებით ხელი აეღო, რათა კიდევ მეტად არ გაემწვავებინა ისედაც მძიმე მდგომარეობა. ამგვარად, 1811 წლამდე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ანტონ მეორეს, რუსეთი ხელს არ ახლებდა. მაგრამ ამ წელს კათოლიკოსი მოულოდნელად კეთილშობილში გაიწვიეს, ვითომდა სინოდის ყრილობაში მონაწილეობის მისაღებად! სინამდვილეში, მთავრობას სხვა განზრახვა ედვა გულში და მის განხორციელებას ცდილობდა. ჯერ კიდევ საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელის კეთილშობილში გაძახებამდე მთავრობა აწარმოებდა ჩუმ მუშაობას და სამზადისს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გასაუქმებლად. როცორც მოსალოდნელი იყო, კათოლიკოსის გაუქმების პროექტის შედგენა. ეს მოხელე-რენეგატი ქსნის ერისთავის შვილი ვარლაამ მთავარეპისკოპოსი იყო. ამ უკანასკნელმა მართლაც შეადგინა პროექტი და ხელისუფლებას წარუდგინა. გარდა ამ ერთი სასულიერო პირისა არ ყოფილა არც ერთი სხვა ქართველი სამღვდელოების წარმომადგენელი საკითხს გაცნობილი. სრულიად მოულოდნელად, 1811 წლის 30 ივნისს გამოცხადდა უმაღლესი „უქაზი“, რომელშიც სწრაფად და სრულიად უბრალოდ იყო გამოცხადებული უძველესი ქრისტიანული ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება. მისი დაქვემდებარება სინოდზე და დაწესება საქართველოს ეგზარხატისა! რენეგატი მთავარეპისკოპოსი ვარლაამი, მისი მონური ერთგულებისა და მოხელეობრივი მოქმედებისათვის მეფის მთავრობამ დანიშნა პირველ ეგზარხად საქართველოში, მაგრამ მალე მასაც, როგორც ქართველს უნდობლობა გამოუცხადეს, დაუვიწყეს ერთგულება და 1817 წელს თანამდებობიდან გადააყენეს. მის ნაცვლად დანიშნეს რუსი ეგზარხოსი, რიაზანის მთავარეპისკოპოსი თეოფილაქტე რუსანოვი. ამგვარად, მეფის მთავრობამ, საქართველოს ეკლესიას მოაცილა ჯერ საკუთარი კათოლიკოსი, შემდეგ რენეგატი ქართველი ეგზარხი და საბოლოოდ საქართველოს ეკლესიის სათავეში ჩაყენა რუსი!!

თეოფილაქტემ, რასაკვირველია ქართული ენა არ იცოდა და არც არავითარი წარმოდგენა ჰქონდა ქართული სასულიერო წესებისა და თავისებურებების შესახებ. თავისი მოღვაწეობა თეოფილაქტემ დაიწყო მკაცრი რუსიფიკატორული პოლიტიკის შემოღებით. 14 მაისს, 1817 წელს იგი დაინიშნა ეგზარხად და უკვე 9 ნოემბერს, იმავე წელს, მან ახალი ბრძანება გამოსცა, რომელიც სიონის კათედრალურ ტაძარში წირვა-ლოცვის წარმოებას შეეხებოდა. ამ ბრძანებით თეოფილაქტემ აკრძალა ქართული წირვა-ლოცვა განსაკუთრებულ დღეებში. ბრძანებაში ვკითხულობთ:- „გარდა კვირა დღისა, უქმე დღეებისა და სხვა დიდესი უქმეებისა, ამიერიდან სიონის ტაძარში ღვთის მსახურება უნდა წარმოთქმულ

ენაზე, კვირაში სამჯერ, ჩემთან ერთად რუსეთიდან მისული რუსი სამღვდელოების მიერ, სახელდობრ სამშაბათს, ხარასკევს და შაბათს, დანარჩენ სამ დღეს წირვა-ლოცვა იწარმოებს ქართულ ენაზე ქართველი სამღვდელოების მიერო“. რასაკვირველია, კვირა დღეს, უქმეებზე წირვა-ლოცვა მართლ რუსულად უნდა ყოფილიყო.

ამგვარად, საქართველოს ანექსიიდან თექვსმეტი წლის შემდეგ ქართველებს წაერთვათ სამუალება მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვისა საქართველოს დედა-ქალაქში.. სიონის ტაძარში! წაერთვათ საშუალება ელოცათ მშობლიურ ენაზე, რომელიც 1400 წლის განმავლობაში გულმხურვალედ სწარმოებდა ათეულ თაობათა მიერ.

რუს სამღვდელოებას, ეგზარხოსით სათავეში, დიდ დახმარებას უწევდა და ამაგრებდა საეკუკაციო ხელისუფლება და კავკასიის მთავარმმართებელი. ერთხანს კავკასიის მთავარმართებლობა ტორმასოვმა მოინდომა საეკლესიო ამბავნებისა და გეგმების ალყა საკუთარი მიწებიდან და სადაც უდაბურ და უვარგის მიწებზე დასახლება. მათს ნაყოფიერ მიწებზე კი რუსეთის შინა გუბერნიებიდან გადმოსახლებული მუჯიკების დასახლება მოინდომა. ეს ჯერიც მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულეს, რადგან კახეთის დიდმა ამბოხებამ თავზარი დასცა ოკუპანტებს და ძველი გეგმები დროებით გადაადებინა.

მალე თეოფილაქტე გადადის დასავლეთ საქართველოში და იქაც ისეთივე ამბავს აწრიალებს.

მას იმედი ჰქონდა, რომ დასავლეთ საქართველოს სამღვდელოებას ადვილად და უხიფათოდ დაიმორჩილებდა, რაშიც იგი მწარედ მისტყუვდა. როდესაც ოლოფიაქტე თავის უხეშ ძალისტიკას აწარმოებდა აღმოსავლეთ საქართველოში, ამ დროს დასავლეთ საქართველოს სამღვდელოება ფიქრებ სამზადისში იყო. მტკიცედ იყო გადაწყვეტილი, თუ ეწნარხისი იმასვე მოიწადინებდა დასავლეთ საქართველოშიც, ეს თავხედობა ძვირად დაესვათ მისთვის. მართლაც ასე მოხდა. ოლოფიაქტე, რუსეთის მხედრობაზე დაყრდნობით და მათი მტკიცების შემწეობით შეესია დასავლეთ საქართველოს სამღვდელოებას. დაატყვევა გენათელი, ქუთათელი და რამდენიმე გამოჩენილი სამღვდელო პირი. დაპატიმრებულები გაგზავნეს ციმბირში. ამ ამბავს მოჰყვა დიდი ერივნული ამბოხება, რომელსაც მეფის რუსეთმა საეკლესიო ბუნტი უწოდა, მაგრამ სინამდვილეში ეს იყო დიდი პოლიტიკური ამბოხება, რომელშიც მონაწილეობას იღებდა ყველა კლასი და მათს შორის სამღვდელოება მოწინავე რიგს თამაშობდა. ამბოხება სისხლში ჩაიშალა! დასავლეთ საქართველოში გააუქმეს მრავალი ეკლესია, დასტოვეს მხოლოდ სამი მათგანი და ისინიც სინორს დაუმორჩილეს.

შორს წაგვიყვანს დანარჩენი მეტად საინტერესო და დამახასიათებელი ფაქტების მოყვანა, რაც მომდევნო ხანებში ქართულ სამღვდელოებას და საზოგადოდ ქართულ ეკლესიას თავს გადახდა. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ქართველი სამღვდელოება მამაცად იბრძოდა მთელი საუკუნის განმავლობაში და ერი არასდეს მარტო არ დაუტოვებია. ქართული ეკლესია გადავიდა კასიური ბრძოლის მეთოდზე და ცდილობდა დაეცვა ავტოკეფალიის მოპოვებას.

ეს დრო დადგა: 1917 წლის 12 მარტს აღსდგა ივერიის დიდებული ეკლესია და სიონის ტაძარში ძველით აგუგუნდა განთავისუფლების ზარი. ხელით ხელიდე გაისმა მშობლიური გალობა და ღვთის დიდება. გამთენდა ისტორია, განახლდა ქართული ეკლესია და იგი სიყვარულით და თავდადებით ჩაება თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოს ახალ ცხოვრებაში. გაინახლა მისი ჭირი და დიხინი. ჩვენდით ამოუდგა სამშობლოს ისევე, როგორც ყოველთვის ჩვენდით უდგა მრავალი საუკუნეების განმავლობაში. თუმცა მაღე საქართველო კიდევ უფრო უარეს მინობაში ჩავარდა, იგი დაიპყრო ბოლშევიკურმა რუსეთმა, მაგრამ არც ამ მძიმე წუთებში დაუტოვებია ტანჯული სამშობლო მის ეკლესიას! დღეს, გარდუვალი, თითქოს მიწასთან გასწორებული ქართული ეკლესია გულს არ იტეხს, რადგან იცის, რომ მისი დრო და კიდევ დარეკავს თავისუფლების ზარი და საქართველოს ზეცას გადაევლება შვების ცისარტყელა. მაშინ ეტყვის ეკლესია ღიად-ჰყოფს: დიდება შენდა, უფალო, რამეთუ არ დაუტევე საქართველო და აღადგინე იგი თავისუფალი!

.....
.....

24 ივლისი, 1783 წ.

ირაკლი ქართველის უკრველეს ყოველისა უნდა მიაგონოს რუსეთ-საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილი იქნა 1783 წლის 24 ივლისს გეორგიევსკის ციხეში ამ ორი ქვეყნის სრულუფლებიან წარმომადგენელთა მიერ.

ქართლ-კახეთის მეფე, ერეკლე მეორე, - ერთის მხრივ და რუსეთის იმპერატრიცა, ეკატერინე მეორე, - მეორეს მხრივ შეთანხმდენ და აღუთქვეს ერთმანეთს დახმარება საერთო მტრის წინააღმდეგ.

ხელშეკრულების პირველ მუხლში ვკითხულობთ: „უდანაშაულობა მისი, მეფე ქართლისა და კახეთისა სახელითა თვისითა, მემკვიდრეთა და მენაცვალეთა თვისითა დღესასწაულობით უკუნისამდე ყოველსა ვალობასა, ანუ ვითარსამე ტიტლისა ყოველისაგან მოკიდებულისა საქართველოსა, ანუ სხვათა მპყრობელთასა და ამით ცხად ჰყოფს ყინწამე ჭირსა ყოველისა სიფრთხილისასა, ვითარმედ არა შეინაცხს იგი თვისზედა და მენაცვალეთა თვისთა ზედა სხვასა თვითმპყრობელსა თვინიერ უწინაესისა ხელმწიფისა და მფარველობისა მისის იმპერატორობის დიდებულებისა და მალთა მისთა მემკვიდრეთა და მონაცვალეთა სამეფოისა ტახტისა ყოველსა რუსეთისასა, ამ თქმული ტახტისა მის ერთგულებისა და მზადყოფნის ა შეწევნისთვის სარგებელისა სახელმწიფოისა ყოველსა მინა შემთხვევასა და დროსა, სადაცა ესე იფხიზლებდეს მისადმი."

ესე იგი, ამ მუხლით, ერეკლე მეფე, თავისი მემკვიდრეების სახელით აცხადებს, რომ იგი მფარველად აღიარებს რუსეთს და თავისი მხრივ რუსეთს აღუთქვამს ერთგულებას და მზადყოფნას დახმარებისათვის ყოველთვის, როცა ეს საჭირო იქნება.

მეორე მუხლში ვადებულებას კისრულობს რუსეთიც. აი რას ვკითხულობთ ამ მუხლში: „დიდებულება იმპერატორობისა მისისა, მიმღებელი უდანაშაულებულესობისაგან მისისა ესიდენისა უზაკვედისა ა ღ თ ქ მ ი ს ა, ა რ ს თ ქ ვ ა მ ს თ ა ნ ს წ ი რ ა დ ვ ე დ ა ი მ ე დ ე უ დ ჰ ყ ი ფ ს ი მ პ ე რ ა ტ ო რ ბ ი ვ ი თ ა ს ი ფ უ ვ ი თ ა თავისა თვისისათვის და მისადრეთა თვისისათვის, ვითარმედ მფარველობა მ ფ ა რ ვ ე ლ ო ბ ა თვისი უდანაშაულებულესთა მეფეთა ქართლისა და კახეთისათა ა რ ე რ ე ს მ ი ე რ ე ბ ი ს, რომლისაცა დასამტკიცებლად დიდებულება მისი აძლევს იმპერატორებსა თავსმდებობასა თვისსა მ თ რ ა დ დ ა ც ვ ა ს ა ზედა სამფლობელოთა მისისა უდანაშაულებულესობისა მეფისა ირაკლი თეიმურაზოვიჩისათა და წინადასდებს განწყრომებასა ეს ვითარისა თავსმდებობისასა ეს ბუარსა ზედა სამფლობელოსა, რათა რომელნიცა წარმდინარეობასა შინა დროთასა გარემოებით და განრჩევითობა ხატით შესაბამად სამფლობელოისა მისისა იქოვებიან,

ქართველი იქნა საქმეებში ეკლესიის მისია მიმართ“.

ამგვარად, მეორე მუხლის თანახმად რუსეთი კისრულობს თანასწორად საქართველოს დახმარებას, იძლევა სიტყვას მფარველობისას და საქართველოს ტერიტორიის დაცვისას. და არა მარტო ამას, იმპერატორი პირდება ერეკლეს იმ ტერიტორიების დაცვასაც, რომელიც საქართველოს შეიძლება იდესმე დაბრუნებოდა.

მესამე მუხლში ნათქვამია, რომ მეფე ქართლისა და კახეთისა, როდესაც იგი ტახტზე ადის, ელჩის საშუალებით ამას აცნობებს იმპერატორს და ამ უკანასკნელისაგან იღებს დამტკიცებას და სამეფო ნიშნებს.

მეოთხე მუხლით, ერეკლე მეფე კისრულობს ვადებულებას საგარეო საქმეებში ყოველთვის რუსეთთან შეთანხმების ძინასწარ.

მეხუთე მუხლში აღნიშნულია რომ ამ ორი ქვეყნის შორის დიპლომატიური ურთიერთობა უნდა ეწარმოის ელჩების საშუალებით, თანახმად თავისუფალ სახელმწიფოთა შორის მიღებული წესისა.

საყურადღებოა მეექვსე მუხლი ტრაქტატისა, რომელშიც შემდეგს ვკითხულობთ: „ დიდებულება იმპერატორისა მისისა მიმღებელი კეთილ-ნებობით აღსარებისა უწმინდესისა ხელმწიფებისა და მფარველობისა სამეფოთა ზედა ქართლისა, კახეთისა და საქართველოისათა აღსთქვამს სახელითა თვისითა და მისაცვრეთა თვისითა: ჯერ-ერთა მით სამეფოისათა შეინახოს ყოფად მჭირსითა კავშირითა სრულებითა თანახმად იმპერიისათანა თვისა, მაშინდელ, წყრთაცა მათთა შეჭრაცხს მტრად თვისა... მეორედ, უბანათდებულებსა მეფესა ირაკლის თემურაზიჩსა და სახლისა მისისა მემკვიდრეთა და მენაცვალეთა და ტომთა დაიცავს უცვალებლად სამეფოთა ზედა ქართლისა და კახეთისათა; მესამედ, შინაგანსა ხელმწიფებისა მმართებლობასა თანა შეუფერებითა მსჯავრსა და სამართალსა, და შეკრებასა მისაცემელისა ხარკისასა დაანებებს მისსა უბანათდებულებსა მეფესა სრულსა შინა ნებასა და სარგებლობასა მისსა, და დაადგენებს მთავართა სამწერლისა და სამოქალაქოსათა აღრევად ვითარისაცა იგი განწესებაი ერთა მათ ხსენებულთა“.

ესე იგი ამ მუხლში ნათლად არის აღნიშნული სამი მთავარი მოვალეობა, რომელიც რუსეთს უნდა აღესრულებინა საქართველოს მიმართ: პირველი, რომ რუსეთი საქართველოს მეფეს თავის საკუთარ მეფად აცხადებს! მეორე, რომ რუსეთი სამეფო ტახტზე დაიცავს ერეკლეს და მის მემკვიდრეობას მეფობას, და მესამე, რომ, რუსეთი ერეკლეს შინაურ საქმეებში არ ჩაერევა!

დანარჩენი მუხლების ჩამოთვლა აღარაა საჭირო. როგორ დაიცვა რუსეთმა ეს ხელშეკრულება, ყველასათვის ცნობილია: ვერაგულად დაარღვია ყველა მუხლი, დაიკერა საქართველო და გააუქმა ეს უძველესი სამეფო და უბერი გუბერნიებად გადააქცია!

..... ავტორი

სტალინი და ბერია

1953 წელი შეიქმნა დიდ ისტორიულ წლად: ამ წელს, 5 მარტს კრემლში გარდაიცვალა დიქტატორი სტალინ-ჯუღაშვილი. ამავე წლის ივნისში ჩაეწყნა ვარსკვლავი მეორე დიდი ჯალათისა და სისხლის მსმელის, საბჭოთა კავშირის საიდუმლო პოლიციის შეფის, - დავრენტი ბერიასი.

ორივე ესენი ერივნებით იყვნენ ქართველნი, შესულნი მსოფლიო კომუნიზმის სამსახურში. ორივემ თავი ისახელეს მიღიონობით ადამიანთა სიცოცხლის მსხვერპლითა და სხვა მრავალი ჯალათური მოქმედებებით, რომლითაც აღსავსეა მათი სისხლიანი ცხოვრების გზა. სტალინმა და ბერიამ თავი ისახელეს თვით თავიანთი მშობელი ერის განადგურებით, თავიანთი თანამემამულეების ხოცვა-ჟლეტით და საქართველოს საუკუნოვანი ერივნული კულტურისა და ქრისტიანული ტრადიციების ნგრევით.

სამწუხაროა, რომ ქვეყანას მწერი დაიკერობს და თავს მის ბატონკაცრონად გამოაცხადებს! აუცილებელია დაკერობილი ერის ტრაგედია, მისი ტანჯვა და ვამება დამკერობელის ულელში! ერი შეურაცყოფილია, ერი ეძებს გამოსავალს, მას სურს აიშვას თავი ბილიკებიდან და ამ მიზნით იმღება ბრძოლა დამკერობელის ჩინაარმებს ხან ჩუმი და ფარული, ხან ახალი და ჰილიკარი. დიად! საშინელებაა უცხოს მიერ სამშობლოს დაკერობა, მაგრამ კიდევ უფრო საშინელი და შეურაცყოფილია ერისათვის, რომელსაც დამკერობელ უცხო ერს საუკუნეში ულმას დაკერობილი ერის შვილი, გამყიდველი, მოღალატე საკუთარი ხალხის, რენეგატი! ასეთს შემთხვევაში დაკერობილი ერი მართლაც დიდ უბედურებას ეძლევა და მის ვამებას საზღვარი აღარ უჩანს.

ასეთს აუცილებელ, ტრაგიკულ მდგომარეობაში ჩაავდა საქართველო მისმა ირმა მოღალატე შვილმა - სტალინმა და ბერიამ! რუსმა დენინმა იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა 1920 წელს, მაგრამ გამყიდველი ქართველის - სტალინის ხაფეზებით დენინმა საქართველოს შეუსია ჩითელი ურიებით და ეს კატარა დემოკრატიული რესპუბლიკა ექვსი კვირის სისხლიანი ბრძოლების შემდეგ დაიკერა.

სტალინს უკვე მაშინვე ჰქონდა მისწრაფება დიქტატურის ხელში აღებისა და ავადმყოფი დენინის სიკვდილს მოუთმენლად ელოდა. სანამ საქართველოს ნორჩი დემოკრატიული რესპუბლიკა ჯერ კიდევ არ იყო მუხლ-მომაგრებული, სტალინს სურდა მისი ხელში ჩაგდება და ძირგან მირთმევა კრემლის იმპერიისათვის. სტალინი შიშობდა: თუ ჩითელ რუსეთს არ ჩაუგდებდა ხელში საქართველოს, ისე იგი დიქტატურის სადავეების აღებას ვერ გაბედავდა და თუ მაინც შესძლებდა დიქტატურის სათავეში მოქცევას, ეს მისი დიქტატურა არასოდეს არ იქნებოდა საფუძვლიანი და მას, სტალინს, როგორც ქართველს, ეკ-

ვედრის უნდობად დაუწყებენ ცქერას. აი ამიტომ ჩქარობდა სტალინი საქართველოს დაკურებას და კრემლის მირჩილებაში შეყვანას. თუ ამ წიგნის აისრულებდა, მაშინ მას თამამად შეეძლო გაეწია სათავისაკენ და ეთქვა: „ გამიშვით, სრული უფლება მაქვს ვიყო წითელი იმპერიის სათავეში, რადგან ჩემი სამშობლო საქართველო ძლვნად მოგიტანეთო“. იმპერიონდელმა ინგლისურმა კრესამ მართლაც ასეთი შეფასება მისცა სტალინის მოქმედებას: „ სტალინმა საქართველოს დაკურებით კარგი საიმედო კასპირტი ჩაიდო ჯიბეში რუსების ნდობის მისაკუთებად“-ო.

მაგრამ თავისუფლების მოყვარე ქართველმა ხალხმა თავის მიღარაზე ჭვიდს ღიმილი არ აჩუქა, არამედ მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში სტალინს ქართველი ერისაგან სიძულვილის მეტი არაფერი მიუღია! მთელი ერისაგან! თუ, რასაკვირველია მხედველობაში არ მივიღებთ ფანატიკოს ქართველ კომუნისტებს, რომელთა რიცხვი ყოველთვის მცირე იყო!

ზედმეტი არ იქნება აქ ერთი ჯტარა ეპიზოდიც გავიხსენოთ: სტალინი არწმუნებდა ლენინს, რომ ქართველ ხალხს სურს ბოლშევიზმი და ელიდება დახმარებას წითელი რუსეთისაგან. რასაკვირველია მისი რწმუნება იყო სრული სიცრუე და სინამდვილისაგან ისე იყო დაცილებული, როგორც დედამიწა ზეცისაგან. მაგრამ სტალინმა მაინც შესძლო თავისი ჩვეული მზაკვრობით ლენინის დარწმუნება, რომელსაც აგრეთვე მისცა იმედი, რომ ხელისუფლების შეცვლა საქართველოში არ საჭიროებს არც ომს და არც საერთოდ რაიმე სისხლის ღვრას. მისი სიტყვებით დაჯერებულმა ლენინმა საქართველოში „დასახმარებლად“ გაგზავნა წითელი არმია.

მაგრამ ქართველებს უომრად და სისხლის დაუღვრელად არ სურდათ თავიანთი დამოუკიდებლობა მტრისათვის დაეთმობინათ. ამიტომ ურიცხვ წითელ ურდოებს გულდაგულ შეეგება მცირერიცხოვანი ქართული მხედრობა. სტალინი არ მოელოდა ასეთს დიდს წინააღმდეგობას საქართველოს მხრივ და საგონებელში ჩავარდნილი, იგი ძლიერ ნერვიულობდა. დაძაბული ყურადღებით აღევნებდა თვალყურს საომარ მოქმედებას საქართველოში. მან ყოველივე საშუალებას და ფთასგვარ ხრიკს მიმართა, რათა ომის ამბავი ლენინს არ გაეგო. ლენინმა მართლაც არაფერი იცოდა. მან მხოლოდ რამოდენიმეჯერ იკითხა, რა ამბავი ხდება საქართველოში. სტალინი ამაგდ ყოველთვის ახერხებდა კასუხის მიცემას და საქართველოს ამბავს იდეალურად ჰ უხატავდა.

როდესაც წითელმა არმიამ რამოდენიმე მკაცრი ბრძოლის შემდეგ თბილისი აიღო, -და ეს ამბავი მყისვე აცნობეს სტალინს მოსკოვში, - სიყარულისაგან მაღლა აყვანილი სტალინი თავდავიწყებული შეიჭრა ლენინის კაბინეტში და შესძახა: „ვლადიმერ ილიჩ, თბილისი აღებულია!“ სტალინს სიხარულით მთლად დაავიწყდა, რომ ამ ამბავს ლენინს გულმოდგინედ უმალავდა რამოდენიმე კვირის განმავლობაში. ლენინს გაკვირვებით უთქვამს: „მაშ ომი ყოფილა“-ი. ამაზედ სტალინმა თურმე გესლიანად და ირონიულად ჩაიცინა: სწორედ ისე, როგორც ეს მას სჩვეოდა და რომელიც მუდამ მოდომა მსოფლიოს კარგად დაენახა, რასაკვირველია, ლენინს საქართველოს დაკურება არ ეწყინებოდა, თუნდაც რომ სტალინის საქციელი ჭაკვივრებოდა!

საქართველოს დაკურების შემდეგ სამი წლის განმავლობაში სამჯერ მოხდა აჯანყება ქართველი ერისა ბოლშევიკ-okupანტთა წინააღმდეგ. სამივეჯერ ეს აჯანყებები სასტიკად იქნა ჩაქრობილი ბოლშევიკების მიერ. მესამე აჯანყება მოხდა 1924 წელს აგვისტოში. მთელი ერი იარაღით ხელში შეებრძოლა სტალინის დიქტატურას, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდა. დამარცხებულ საქართველოს დამსჯელად სტალინმა მიუსვინა სისხლის მსმელი ბერია, რომელმაც თავისი ჩვეკისტებით 15 ათასი საუკეთესო ქართველი მამულიშვილი დახვრიტა რამოდენიმე დღეში.

როდესაც ჩვეკისტების თარეშს ბოლი არ მიეღო, სტალინამ მივიდა აბეზარ ენუქიძე და სთხოვა უმჯობეს ხერხის ხიდვა-ძებნა შეეწყვიტა. სტალინმა ყური არ ათხოვა ამ თხოვნას და ბერიას ამხნევებდა განეგრძო დასჯა ურჩი ქართველი ერისა, რომელმაც არ იცნო მისი დიქტატურა და ბატონობა. სისხლით მთვრალი ბერიაც თავისი ბატონის ბრძანებას ერთგულად ასრულებდა და მუსრს ავლებდა ქართველ პატრიოტებს.

მაშინ სტალინთან მიდის დევტროცკი და აცხადებს დიდ პრო-

ტესტს: „ რას ფიქრობთ, უთქვამს მას სტალინისათვის, მთელი ქართველი ხალხი ციხეში გაგზავნოთ?!“

მხოლოდ ამის შემდეგ შეაჩერა სტალინმა აჯანყებულების ჟლეტა, მაგრამ ვინც ცოცხალი გადარჩა და მთავრობას ხელში ჩაუვარდა, ბრძანა მათი ბაიკალზე სამუდამოდ გადასახლება.

თვით ტროცკიც, რომელიც წითელ რუსეთში ტერორიზმის დამაარსებლად ითვლებოდა, იმოქმედა სტალინის ბუღალტერიამ და მან, - არაქართველმა, - შეიძლება უიარაღო და დამარცხებული ქართველი ერი, მაშინ როდესაც ქართველმა სტალინმა სრულიად ბუღალტერად გადაიქცა საკუთარი ქვეყნის აწიოკებლად!

რენეგატის ბუნებისათვის დამახასიათებელი თვისება სხვა მრავალთა შორის არის ისიც, რომ, რენეგატს სამშინარო სძულს თავისი ხალხი, არ ენდობა მას და მუდამ იმის ცდაშია, რომ როგორმე დასაჯოს და დაიმორჩილოს. გარდა ამისა, რენეგატი ცდილობს თავისი ხალხის ისტორიით მოიგოს ბური იმ ერისა, რომელსაც იგი მიეკედლა.

ასეთი მონური ფსიქოლოგიით და ბირთი სიძულვილით იყო აღსილი სტალინიც. მას ვერ აეცილა ქართველების გმირული წინააღმდეგობა. მას ვერ მოენდომებინა ის, რომ, ქართველები არაფრად აგდებდნენ იმ ფაქტს, რომ წითელი იმპერიის სათავეში ქართველი იდგა! პირიქით, სტალინი ხედავდა და გრძნობდა, რომ ქართველმა ერმა ეს ფაქტი დიდ უბედურებად და სირცხვილად ჩასთვალა!

ქართველი ერი მრავალჯერ ყოფილა დაჭყრობილი, მას მრავალი დამჭყრობელი გამოუცდია, მაგრამ მათს ჩინამე ქედი არასიდეს არ მოუდრეკია, მათი მონა არასიდეს არ გამხდარა. საქართველოში იდესღაც ბაქონობდნენ რომაელები, სპარსელები, ბიზანტიელები, არაბები და თურქ-სელჯუკები.. მონღოლები და ისევ სპარს-ისმაელები.. ბოლოს კი მეფის რუსეთი. ამ დამჭყრობელებს საქართველომ გაუძლო, გადაარჩინა თავისი ფიზიკური არსებობა, შეინახა ერთნული სული და ფრაქციები ჭმინდად და მთელი ახალ ეპოქამდე დაუღეღი და სალი, ენერგიითა და ნიჭით სავსე, სიყოყხლისა და თავისუფლების სიყვარულით აღსილი! ძველი დამჭყრობელები ვერ ახერხებდნენ ქართველი ერის სულიერ გაქეხას რადგან ისინი ვერ აგნებდნენ ქართველი ერის გამძლეობის ფესვებს. ამიქომ მათ ვერც ამ ფესვების ამოკვეთას ახერხებდნენ.

მაგრამ, ის, რაც ძველმა დამჭყრობელებმა ვერ მოახერხეს - ეს თითქმის შესძლო ქართველმა სტალინმა. იგი, რომელ ქართველი, ინტუიციით გრძნობდა, ენისვით აგნებდა, თუ სად იყო ქართველი ერის მაცოცხლებელი ფესვები გადგმული, თუ სად მდებარეობდა ქართული გამძლეობის და უკეხელობის საიდუმლო ჯებირი!

აი, აქ დაჭკრა სტალინმა ქართველ ერს მკვეთრი სკვითური ცული! დაჭკრა იქ, სადაც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ენიბილ დამჭყრობელთა ხელი არ მიჭკარებია! ეს იყო მიწგნი იმისაც თუ რატომ გაიღო საქართველომ ყველაზე მეტი მსხვერპლი საბჭოთა იმპერიაში. და თუ საქართველო ჯერ კიდევ ურყევად და მაგრად სდგას, - ეს იმიტომ, რომ სტალინის მარჯვენა ქართველი ერის ფესვებზე ცულის ცემით დაიქანცა; თვით ცულიც დაიბზარვა და ფესვების მთავარი ძარღვები მაინც გადარჩნენ!

სტალინმა იცოდა სად უნდა დაეკრა ქართველი ერისათვის, თუ მისი დამორჩილება სურდა. მაგრამ სტალინმა არ იცოდა თუ ქართველი ერის ფესვები ასე მაგარი იყო!

ბერიაზე საუბარიც არ ღირს. იგი იყო მონური იმპასრულებელი მისი ბატონის ბრძანებისა და რაც იგი მოუკვდა, თვითაც ჩაიღრჩი მის მიერვე დაღვრილ უდანაშაული ადამიანთა სისხლის მორევში.

სტალინმა და ბერიამ სხვაგვარი ზიანიც მიაყენეს საქართველოს და ქართველებს.

ქართველი ხალხი, როგორც ძველი კულტურისა და ისტორიული წარსულის მქონე, როგორც რაინდი და სტუმართ-მოყვარე ერი, - ღიღის ქალთივისყვემით, სიყვარულითაც-კი, სარგებლობდა თავის ახლობელ და შორებელ მეზობელთა შორის. მას ქალთივს სცემდნენ თვით მისი ისტორიული მტრებიც, რადგან მათაც იცოდნენ ამ ქალთარა, მაგრამ მამაცი ერის ბევრი კარგი თვისებები. საქართველოს სახელმა ასე მოიპოვა ბოლომდე, სანამ ისტორიის სარბიელზე არ გამოჩნდა ორი საშინელი ჯალათი: სტალინი და ბერია! მათმა ჯალათობამ ძალაუნებურად შეარყია ქარ-

თველი ხალხის კარგი სახელი და მტრად გადაჰკიდა მას მისი მეზობლები და თვით რუსი ერიც, რომელიც მანამდე, შედარებით მაინც, მომთმენლობითა და ქალთივისყვემით ეპყრობოდა ქართველ ხალხს. სტალინ-ბერიას ჯალათობამ ძალაუნებურად ჩააფიქრა საზოგადოებრივი აზრი და დაბადა რალაც არა-სასიამოვნო ეჭვები ქართველი ხალხის მიმართ, რომელიც მანამდე არ არსებობდა. სტალინის ჯალათობით მოთმინებიდან გამოსული არაქართველი ხალხები უკვე ალმაცერად და ბოროტად შესცქეროდა ქართველ ხალხს და, სამწუხაროდ, ჰასიერად ებრძოდა კიდეც მას!

ამგვარად, ქართველ ერს ორ ფრონტზე უხდებოდა ბრძოლა და გამაგრება: ერთი იყო სტალინი და კომუნიზმი; მეორე - გაალმასებული მეზობლები. რა საკვირველია ჩვენიერ ადამიანებს ყველაფერი კარგად ესმოდათ. მათ კარგად იცოდნენ, რომ ქართველი ერი არაფერ შუაშია იყო. იცოდნენ, რომ ქართველები, სხვა კავკასიელებთან და უკრაინელებთან ერთად, იყვნენ ჩინებული მებრძოლი ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

მაგრამ, საზოგადოდ, მასას ისე ჰქონდა თავი მიბეზრებული სტალინისაგან, რომ მისი სიძულვილით ქართველ ერსაც ეკირებოდა! ქართველებს ერთი კარგი ანდაზა გვაქვს: „ მხედარმა ცხენს ვერაფერი დააკლო და უნაგირს დაუწყო მტვრევა“-ო. დამონებულმა არა-ქართველმა ხალხებმა სტალინს რომ ვერაფერი დააკლო, - ქართველების გინებით ცდილობდა ცულის მოქანას!

ფსიქოლოგიურად ასეთი სურათი განწყობილების შექმნა გასაგებია! მაგრამ, ეს გარემოება მაინც ზედმეტად ამტკიცებს იმას, თუ რა ძვირად დაუჯდა ქართველ ხალხს სტალინი - უკუღმართი და მოღალატე შვილი!

ეხლა სტალინი ცოცხალია შორის აღარ არის და ალბად მალე ბერიაც გამოესალმება სიცოცხლეს. ქართველი ადამიანი, რომელმაც ამდენი ტანჯვა-ვაება განიცადა სტალინის დიქტატურით და რომელსაც კარგად ესმოდა, თუ რა ძვირად უჯდებოდა სტალინი ქართველ ხალხს, არ შეიძლება არ იყოს გახარებული ამ ორი ტირანის გაქრობით. თუ კრემლის ულელი ჯერ კიდევ მძიმედ აწევს ქართველ ხალხს და იგი ამ ულელისაგან ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა, - მორალურად მაინც სიმსუბუქეს იგრძნობს, რადგან მსოფლიო ტირანის სათავეში უკვე ქართველები აღარა ღგანან! ცოტა ხანს ალბად ინერციით კიდევ გაგრძელდება სტალინის მიერ დატოვებული ათვალისწინება ქართველებისა, მაგრამ გაივლის კიდევ ცოტა ხანი და საბჭოთა ხალხი და მთელი დასავლეთი მსოფლიო საბოლოოდ დარწმუნდება, რომ ბოლშევიზმის სათავე არის კომუნიზმი, მარქსიზმი და თუეს სათავე არ მოისპო, მანამ სტალინები და ბერიები არ გამოიდევა, სულ ერთია რომელი ერის შვილიც არ უნდა გამოვიდნენ ისინი.

ბიძის ერთი რამ კიდევ გვინ-
და აღვნიშნოთ. სტალინი, თუმცა
იგი დიდი უარყოფითი მოვლენა
იყო მსოფლიო ისტორიაში, მას მა-
ინც ჰქონდა ზოგიერთი თვისება,
რომელიც ბევრს არ ახასიათებს
და ბევრი ნატრობს ამ თვისებებს
სტალინს ჰქონდა რაღაც განუსაზ-
ღვრელი ენერგია, დინამიზმი და
მტკიცე ნებისყოფა. სამწუხაროდ
ყოველივე ეს მან მოახმარა ან-
ტიეროვნული იდეოლოგიის განხორ-
ციელებას. სტალინი ახალგაზრდო-
ბამივე ასცდა ნამდვილ ერივნულ
აღზრდას, რადგან მას მიუსწრო
მარქსისტულმა მოძღვრებამ და
სულ სხვა გზით გააქანა! ეს მარ
ქსისტული აღზრდა მან იმ ასაკ-
ში მიიღო, როდესაც ადამიანი მი-
წყურვებით ეძებს იდეალებს. უკუ-
ღმართი იდეა - მარქსიზმი -
სტალინმა ყალთაროდ სცნო და
ამ იდეის გასაბატონებლად და
გასამარჯვებლად ისე შეუპოვრად
იბრძოდა, რომელმაც მისი ქართველი
წინაპრები საქართველოს დასა-
ცავად! ბრძოლის ქართული ჟინი,
თავგანწირულება და სიმტკიცე
სტალინმა ბოლომდე შეინარჩუნა;
სამწუხაროდ, - კიდევ ვიმეორებთ, -
ჩვენთვის უცხო იდეოლოგიის გა-
ნსახორციელებლად!

დღეს ეს დიდი ენერგია და
ბრძოლის ჟინი, მტკიცე ნებისყო-
ფა და დინამიზმი, სტალინის სხე-
ულთან ერთად მიკვდა! ეს მოვ-
დენა თავისთავად, ერთგვარად,
ადრე თუ გვიან, კომუნიზმს შეარ-
ყევს და, ვინ იცის, შეიძლება
დასცეს კიდეც! სტალინის მემკ-
ვიდრე მაღენკოვი თავის მასწა-
ვლებელს ვერ შეედრება ვერაფ-
რით და იგი ვერასდროს გასტა-
დინდება! ჩვენ მაინც არ უნდა
მივეცეთ უწრუნველობას და ვფი-
ქრობთ უსტალინო საბჭოთა კავშირი
რიხის დაეცემა და რიხის დაინგ-
რევა თავისთავად. არ უნდა დავი-
ვიწყოთ, რომ მალენკოვი სტალინის
შერჩეულია და სტალინი ისეთს არ-
ვის შეარჩევდა თავის მემკვიდ-
რედ, რომელიც დენინ-სტალინის მავ-
ნიდეურს დიდებრძოლობას შეუმიკ-
ლებდა! სტალინის ეპოქებზე ეპოქა
ამოვა და ეს ეპოქა დიდს მაინც
მალენკოვია!

ამიტომ, უწრუნველობა არ გვმა-
რთებს და ისე უნდა ვებრძოლოთ
კომუნიზმს თითქოს დენინიც და
სტალინიც ცოცხლები არიან!

ბრძოლა კომუნიზმის წინააღმ-
დეგ კი ჩვენი წმინდა მოვალეო-
ბაა, რადგან ვინც მას არ ებრძ-
ვის, - იგი, ასე თუ ისე, კომუნიზმს
ამაგრებს; იგი ასე თუ ისე კომუ-
ნისტურ ბირთვებას ითმენს და მის
არსებობას ახანგრძლივებს.

ჩვენ საერთოდ გვწამს და ვა-
ღიარებთ ნეიტრალობას, ჩაურევლო-
ბას, მაგრამ არა კომუნიზმის მი-
მართ!

დღეს ორი გზა არ უნდა არსე-
ბობდეს, არამედ ერთი: ან თავი-
სუფლება ან კომუნისტური მონო-
ბა! მსოფლიო ამის მიხედვით უნ-
და დაჯგუფდეს: თავისუფლებისათ-
ვის მებრძოლნი და კომუნისტები.
რაც უფრო მეტად შევეცდებით მოთ-
ვინიერებას აცილებული დათვისას-
მით უფრო საბიანი იქნება თავი-
სუფალი მსოფლიოსათვის! მოთვი-
ნიერებისათვის არსებობს სამუა-
დება: სიკვდილი კომუნიზმს!

ზ. კიბაბიძე.

ერთა ბრძოლა კომუნიზმთან - ევროპა და კერენსკი!

*„სულდგმული ჩარხიანი საქარ-
ველის დამოუკიდებლობის აღდგენა-
ს ამერიკული საბჭოს საგარეო კო-
მიტეტი 16 ივნისს 1953წ.)*

„სატელიტი ქვეყნების გაათ-
ასწლეულებით დაკავშირებით, რუსული ირ-
განიზაციების მეთაურმა, ა.ფ.კე-
რენსკიმ გასულ თვეში მთელი რიგი გან-
ცხადებებისა პრესაში და სხვადა-
სხვა ტრიბუნებზე ევროპაში - მისი
პრიზმის შესახებ. არ ვებმებით
პრინციპიალურ დისკუსიაში, არც რა-
იმე სიმუდვარის ან სიყვარულის
გრძნობას ვამჟღავნებთ რუსი ხა-
ლხის მიმართ: ჩვენ მხოლოდ დავკ-
მაყოფილდებით ბატონი კერენსკის
პრიზმის იურიდიული ანალიზით.
ეს პრიზმა გამოქვეყნებული
იყო ამა წლის 28 ივლისს მიუნხენ-
ში, გაზეთს „ზა სვაბოდუ“-ში.
კერენსკის პრიზმით ყოველ ერს
აქვს თვით გამოკვეთის უფლება
თვით გამოყოფამდე. ყოველ ერს შე-
ძლია სურვილისამებრ დარჩენა ან
გამოსვლა კავშირიდან.

მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს
თვითგამოკვეთის უფლებას თუ ეს
უფლება იქვე შეზღუდულია სხვა
ნორმებით და თვით ეს უფლებანი
და მათი გადაწყვეტა გადადებულია
განუსაზღვრელი დროით. ბოლშევი-
კებიც სწორედ ერთა თვით გამოკ-
ვეთას თვით გამოყოფამდე, მაგრამ
იმავე დღის ანთქმას ჰქადიკული
მოქმედების სამუალებას ამ უფლე-
ბათა განხორციელებისათვის!

ბოლშევიკების კვალს მისდევს
ა.კერენსკიც, რომელიც ამტკიც-
ებს, რომ 1) „ეს უფლება
შეიძლება განხორციელდეს მხო-
ლოდ მაშინ, როდესაც მ თ ე ლ ი
ტერიტორია განთავისუფლდება კო-
მუნისტური ტოტალიზმისაგან“ და 2) „
ერების ახალი თავისუფალი და
სახალხო სურვილის გამომუავნე-
ბის შემდეგ“.

თუ ამ განცხადებას გავშიფ-
რავთ, გამოდის ისე, რომ, მაგალით-
ად საქართველომ ან უკრაინამ
ძალაუნებურად უნდა უცადოს იმ
მომენტს სანამ უზარმაზარი სა-
ხელოვნო იმპერიის უკანასკნელი ჯე-
ქარი მიწა არ განთავისუფლდე-
ბა! თუ მაგალითად, ბოლშევიკები
შესძლებენ ჩინელების შემცდობით
ვამჩატკაზე გამაგრებას და მა-
ტი არსებობა ამ კუნძულზე გაგრ-
ძელდება წლების განმავლობაში -
მაშინ იურიდიულად არც ერთსაც
ეძლევა არა მარტო დამოუკიდებ-
ლობისა, არამედ თვით საკითხის
დამოყენებისაც კი თვით გამორ-
კვევაზე! ბატონი კერენსკის
პრიზმის მიხედვით, ერები
იძულებულნი იქნებიან იცადონ
მანამდე სანამ მ თ ე ლ ი სა-
ხელოვნო იმპერია არ განთავისუფ-
ლდება, და ამ ძლის ხანაში მათ
არავითარი „ახალი, თავისუფალი
და სახალხო სურვილის გამომუ-
ავნების უფლება“ არ ექნება.
ესე იგი ერებმა მოთმინებით
უნდა უცადონ სანამ კომუნისტები
საბოლოოდ გააქრებიან და დაე-
მორჩილონ „იდეინაია ნეიდეიმა-
ია“ ხელისუფლებას.

დაუშვათ, უკეთეს შემთხ-
ვევაში, ეს ხელისუფლება წარმო-
ებული იქნება ადგილებზე ერივ-

წებათა წარმომადგენლებით, ესე იგი, უკრაინაში მმართველობის სათავეში იქნებიან უკრაინელები, საქართველოში - ქართველები და ასე შემდეგ, რითაც ამას აღნიშნავს ნაბიჯიბრივ ბიიშვიკების ხელშიც. მაგრამ ეს ე.წ. ხელისუფალნი დანიშნულნი იქნებიან ცენტრის მიერ და არა ამირჩეულნი თავიანთი ხალხის მიერ და ქასუხისმგებელნი მათსავე მიმართ. ეს ხელისუფალნი ქასუხისმგებელნი იქნებიან ცენტრის წინაშე, რითაც მათ მიერვე დანიშნულნი. მაშასადამე მდგომარეობა არ შეიცვლება და ერივნებები დარჩებიან „მთიანის“ შემადგენელ ნაწილებად.

რაც არ უნდა ღიბერალური იყვეს დამოკიდებულება ერივნებათა მიმართ, სულ ერთია, - ძალაუფლება მაინც ცენტრის ხელში იქნება.

მაგრამ დაუშვათ, რომ ცენტრის ხელისუფლება არ იქნება ღიბერალური ერივნებათა მიმართ, - ხომ შეგვიძლია ასეთი მოსაზრებით დაუშვათ, - და ცენტრსა და ჰერიფერიებს შორის ჩამოვარდება კონფლიქტი. რა სამუალება მიენიჭებათ ამ შემთხვევაში მაგალითად შევიწროებულ ერებს? მიეცემათ თუ არა უფლება მიიღონ დახმარება თავისუფალი მსოფლიოსაგან, ან მაგალითად შეერთებული შტატებისაგან?! ექნებათ თუ არა უფლება ერებს გაერთიანებული ერებისაგან მოითხოვონ დახმარება ე.წ. „განმანთავისუფლებლებისაგან“ გასანთავისუფლებლად?! რასაკვირველია არა! აი აქ არის მთელი ჩახლართული აზრი ჩამალული, რომელსაც ბატონი კერენსკის კრიზისამა იძლევა!

ყოველგვარი ცდა ჩაგვისა გაერთიანებული ერების მსოფლიო ორგანიზაციის მხრივან ცალკე სახელმწიფოს მიერ, აღბად უკუღებული იქნება „მთიანის“ მიერ. ფორმალურად მას ამის უფლება ექნება, რადგან იგი ამ ჩარევას დაახასიათებს, როგორც ჩარევას უცხო სახელმწიფოსას საკუთარ შინაურ საქმეებში!

თვით გაერთიანებული ერების მსოფლიო ორგანიზაციის ქარტიის გამოყენებაც ერივნებათა სასარგებლოდ ერთგვარ დაბრკოლებას ეღობება წინ. ეს ქარტია ითვალისწინებს დახმარებას გაერთიანებული ერების მხრივ მხოლოდ კოლონიალური ქვეყნების მიმართ.

შეერთებული შტატების საგარეო პრესა ძალიან ძნელად ერკვევა რუსეთის კრიზისებში, მაგრამ ეხლა უკვე ყველაფერს ნათლად ხედავს! ამიტომ, განსაკუთრებით უნდა მივესალმოთ ერთი ამერიკული, მეტად ავტორიტეტული, ჟურნალის - „ფორაინ აფეირს“-ის შეხედულებას (ივლისი, 1953) სადაც გამოყენებულია ზემოთ დასახელებული კრიზისები. ეს ჟურნალი საკითხს ნათლად და უბრალოდ აყენებს: „ რატომ არ შეიძლება გამოვიჩინოთ ისეთივე სიმკაცრე საბჭოთა კავშირის მიერ დამონებულ ხალხთა მიმართ, როგორც ვიჩენთ კოლონიალური ხალხების მიმართ?“

იდია გიდემანი.

.....

.....

..

„მოთაბეღნიერი“

მოთხრობიდან:
„ ძველი ბიიშვიკი “

„კონტრევოლუციონერ“ ქალების დარწმუნება რომ მორწმა თემის მმართველი სამეული, მერე ურჩი გადაწყდების, მოთა ფიცხვერიას საქმეს შეუდგა. ქალებთან ერთად, მიიცილებს, ისიც ამოეყვანა თემის საბჭოში.

- მეც, ამხანაგო, რატომ არ შემიძლია ხორცის გადასახადი?! ჰკითხა, მეტად მკაცრად, კომენდანტმა თავის მეზობელს მოთა ფიცხვერიას.

ირწმუნა მიიშა ყავდა ჩაგებული, კომენდანტის თავისი მეზობლები და თემის მოსახლეობა. ჩინათ, ესე იგი სანამ თემის საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნავდნენ, იჯახი არ გაუშვია გაუკურავი. ყველას ეშინოდა მისი. ეფერებოდნენ.. იქნება ავვიარის გვერდი და საკურდად არ მოვიდეს უმთავარი ღამეში. მოსახლეობის შიში მაშინ გაათკეცდა, როცა კომენდანტის თემის მოურაობა ჩააბარეს.

- მამიჩემის საფლავს გეფიცები, არაფერი გამაჩნია.. სანამ გამაჩნდა რამე, თავის დროზე ვიხდიდი ყოველგვარ გადასახადს. ჩემი დაი ჯერქით არის ავადმყოფი, თქვენც იცით.. ქობულეთი გამოუწერეს ექიმებმა, რითი გავაგზავნო?! გრიში არა მაქვს.. ჯუაბე შემდეგი დედაც შესანახ...

- შენი იჯახის ისტორია არავის აინტერესებს, - შეაწყვეტინა სიტყვა კომენდანტიმ, - გეკითხები, მოიტანე თუ არა გადასახადი?

- დამაცადეთ კიდევ ერთი კვირა, იქნება გავხდე რამეს! დაეხრიჯა მოთა. იცდა რვა წლის ვაჟკაცს თავი ისე ჰქონდა გათელებული, როგორც სამიცი წლის მოხუცს.

- შენ სტალინურ კონსტიტუციას კითხულობ? მეეკითხა ჯარტრში იასონ ქაჯაია, ყოფილი შემოდგომის აზნაური. ეხლა კი ნამდვილი წითელი არისტოკრატი.

- ჩვიდმეტი ღამე გავათენეთ მის შესწავლაში.. კრიჯანოვსკი შუბლაძე რი გვამეცადინებდა. წამოიძახა ურჩმა გადამხდელმა.

- მერე, სწერია სტალინურ კონსტიტუციაში „ არა მაქვს“, „ არ შემიძლია“ ?

- არა.. არ სწერია.

- თუ არ სწერია რატომ აგვიანებ გადახდას?! -

ასეთ „დილიკურ“ კითხვაზე მოთამ ვერაფერი უპასუხა, თითებს დაუწყო მწვრთვა მხოლოდ.

- ვინ მიგანიჭა შენ სამოთხისადგური ცხოვრება, ამხანაგო ფიცხვერია! - ჰკითხა თავის მხრივ კომკავშირის მდივანმა.

- დიდმა სტალინმა! წამოიძახა მექანიკურად მოთამ.

- ამდენი მიხვედრა თუ გაქვს, რატომ არ იცი რომ სამოთხის დაგვარ გადასახადს, თავის დროზე უნდა გადახდა! ვისა აქვს იმდენი დრო, შენ გედაგების. მიხაკო, გადასძახა კომენდანტიმ მიდიცილეს, წადი ახადავე ამის იჯახიდან გადმოიყვანე ის მაკედეული რომ ყავს და დღესვე

ჩააბარე მთავრობის სასადილის.

– ნუ მიბამთ მაგას,ნუ დამიჭრით ყველს დედასა და დებს! შეევედრა შოთა.

– გაგევი მიიცილეს და შენი ხელით გამიუყვანე ის დეკეული, თუ არ მინდა ციმბირის გზას დაადგე.ხუთი დღე გძინდა ვადა.იცჯერ გაგაფრთხილეთ,შენ მაინც არა მაქვს“ იძახი. – კრემენტი იასონს მიუბრუნდა და უთხრა:მკლავს მივიჭრი თუ მაგას უცხოეთის დაგვერვასთან არ ქონდეს კავშირი. აბად ვინმე დივერსანტი აქეზებს,გადასახადი არ შეიტანოო.

– ჭკუასთან ახლოს ხარ,მაგისთანები ბევრი გვირევია,მაგარი თად მეჩიცქვიდე მიხედ ხვიჩია..

– რაი,ხვიჩია!? – ერთად შეაწყვეტინა დაჭარაკი იასონს,კრემენტიმ და გიორგიმ,კომკავშირის მდივანმა.

– ხომ გახსოვთ გასულ კვირას ოთხი ხელი ნარმის საცვალი რომ მოვიდა კოოპერატივში?!მასჩავლებლებზე გავანაწილეთ,ხვიჩიას არაფერი შეხვდა.გაბრაზებულმა იმღერა ხალხის წინ წამოიძახა: „ რაფერი ღრი დადგა,ნარმის ქარანგი მიმოვნია კაცს სასყიდელი. ჩვკაში გამიტყდა,უცხოეთის აგენტი ვარი,ყოველდვარ ბრალდებას, რაც კი წაუყენა გამომძიებელმა, ჯვარი დაუსვა.

– წერა არ იცოდა? – იკითხა კრემენტიმ.

– მიხედია ხვიჩიას წერა-კითხვას ვინ ასწავლიდა,ნახევრად სულელს,მუდამ წისქვილში ნაგდებს. კაპიტალში გაგზავნეს ათი წლით. მე კი ორი ტონა სიმინდი მომცეს ჯილდოთ კოლმეურნეობის ფონდიდან, კონტრრევიზიონერის აღმოჩენისათვის!

– დიდი იღბალი მოგსვლია.– უკასუხა კრიმენტიმ,ღვარძლიანი ღიმილით.

გულმოკვეთილი გამოჰყვა მილიციელს შოთა.ჩააბა თოკი წაბილისფერ დეკეულს,შვილივით რომ გრძნობდა, ეძახი თვის მოჯამაგირეობაში რომ ერგო ჯაჭაჭკინტელა ხბო შინაური ნათესავებიდან.დეკეულს ხბო უნდა მიეგო,რომელსაც ისე შეხარიდა ხუთი სული,რიგრიგ უშვილი შვილის დაბადებას.. შოთამ დეკეული ჩააბარა „მუშათა და გლეხთა“ ხელისუფლების წარმომადგენელს. „წაბილას“ იმ საღამოსვე მიჭრეს თავი მთავრობის სასადილოში,ხოლო სამი ღრის შემდეგ თითონ კაპიტონს მისჭრა თავი მაფარებლის ბრიგადებმა, რომელსაც „სამამული ომის“ ფრონტზე მიჰყავდა შოთა 1941 წლის 22 ივნისს.

.....

ცამეტი წლის შოთას,ჯილდიანმა მამამ ერთი თვალი ფიცრული სახლი დაუტოვა,მეხუთედი ქვეყანა მიწა,ერთი ბურგწამხდარი ჯაკი, ჯუაზე შემდეგი დედა და სამი უსუსური დაი..

– „ მივდივარ შვილო“, უთხრა მამამ სიკვდილის ღამეს თავის ქრიმშოს,სინათლე მიმქრალ ოთახის კუთხეში მწოლარე,მიუხედავად ავადმყოფმა ნესტორმა.„ მე ვერ გამოვდექი შენთვის კაი მამა. სულელი დედისა,მცირეწლოვანი დებისა და სიღატაკის გარდა ვერაფერს გიტოვებ.ნუ მომიგონებ ცუდად.ჩემი ბრალი არ არის.მეც ვებრძოდი ცხოვრებას,მაგრამ ცარიელ ხელით ვერაფერს გავხდი.ცხრა ძმიდან გამონაყოფი ერთი კვალი მიწა შემხვდა,ეს ქოხი რომ დგას ზედ.ჯარიდან სნეული დავბრუნდი, რუსის ფეოდალებმა მცემა ბურში ჩემის ქუსლით,მიწაზე წაქცეულს. არ მუსმდა რუსული ბრძანება და იმიტომ.. რა ჩემი ბრალი იყო?! მე,ქართველი,ჩემი სოფლის საბჭოვარს არ ვიცავი გაციებული,სანამ ჯიუტობში არ წამიყვანეს სადგათად.ენა ვერ მითქვამს,რაც მე გაჭირვება ამიტანია სამი ღრის განმავლობაში.ღმე არ გავიდოდა ისე,რომ ჩემი დედამის სული ათჯერ არ შეეგინებია რუსებს.კვირა არ გავიდოდა,ერთი სიდა მაინც რომ არ გაეკრა უნტერ-ოფიცერს. დაავადმყოფდი..ფიქრები გამიფუჭდა..ცოდი გადამერია..ვკვდები და ვაი რომთან მიმაქვს ბიძმა და მწუხარება..მარტოს გტოვებ შვილო,..მარტოს..უნათესაოს ამ ქრიად ქვეყანაზე..ნუ დამემდურები..ნუ მოიხსენიებ საცოდავ მამაშენს..მომიგონებდე..ყური უგდე ჩემს საფლავს..არავინ გაჭირას და მიწაში მაინც არავინ შეგაწუხოს..ღმერთი იყოს შენი მფარველი ჩემი ფუთხუა..“

თავი მოახრევინა და გულში ჩაიკრა..ღიღბანს ღიცავდა სნეული.ავედრებდა ზეციერს თავის ქირმშოს.ქაფარები არ გააოვიძებია, შეშინდებიანი. ფარდაგის ნაგდევზე,ჭუჭყიან ბალიშზე მისვენებული მამა ნესტორი ღევდა სულს ცამეტი ღრის შვილის ხელში.

ფიცრული მეორე კუთხეში, ჯილიბზე,ძინძებ ქვეშ,ერმა ძილით ეძინა სამ მცირე ღრიან ბიძინას და სულით ავადმყოფ ღედას,კასიკოს.

ღიღბანს ჩიფჩიფებდა ავადმყოფი.გულამისკენით სრუკუნებდა მისი ვაჟი,მამის კისერში ჩახვეული.ბიღის ჩიფჩიფიც შეწყდა. შვილმა მამის ღიდიდან სიცივე იგრძნო.თავი რომ აიღო,მამა უკვე აღარ სუნთქავდა.ხელები თავისით დაეკრიფა გულზე.ფეხები გაეწვართა,კუბოში ჩასადებად თავისი სხეული თითონვე გაეწყო,საბრალის.

ნესტორის დასაფლავების ღიეს ნათლია აღექსანდრემ,მსხვილმა კომუნისტმა და ქონებითაც საკმაოდ შეძლებულმა,მეტად ბრძენი სიტყვა წარმოსთქვა და დამსწრეთა გული მოიგო.აღექსანდრე ფიცხვერიამ თავისი სიტყვა ასე დაასრულა: „ ნუ სწუხარ,ამხანაგო ნესტორ,შენს იღბებს მე მივხედავ, ჩემს ნათლულს,ნუცას ხვალვე წავიყვან ჩემთან,შვილივით გავზრდი,მაგრამ ისე კი,რომ საკუთარი მამის სახელს არ დავავიწყებინებ.დანარჩენებსაც არაფერს მოვაკლებ,ვაჭმევ და ვასმევ,ჩავაცვამ და დავახურავ.““

ისე დამაჯერებელი ტონით ამბობდა მსხვილი კომუნისტი ყოველ სიტყვას,რომ დამსწრეთა შორის ყოველი წინადადების დასრულების შემდეგ,ისმოდა: „ ვაშა შენს კაი კაცობას,გაგინათლებს ღმერთი.ღმის კაცი ყოფილხარ. იღბების მიხედვისაფვის ღმერთი მოგხედავს“..

კომუნისტ ნათლიას დაკრძალვა, მაშინვე წაიღო ქარმა.ექვსი წლის განმავლობაში აღექსანდრემ მხოლოდ ერთხელ შეიხედა ნესტორის ქოხში,ისიც მაშინ,როცა მისი ნათლული,რვა წლის ნუცა,კუბოში იდო გულზე ხელდაკრეფილი. როცა

სამამული იმი"გამოცხადდა,შოთას მაშინ ორი სული ედი დიბინზე, ავადმყოფი დაი და მშობიარე ცოლი.

თემის ხელისუფლებამ ისევე მოაგონა შოთას სამოთხის დაგვარი ცხოვრება,რომლც ერთხელ ძროხის წართმევის დროს ..გამოსამშვიდობებლად სახლშიც კი აღარ გაუშვეს,ისე წაიყვანეს ჯარში თემის საბჭოდან.საბარგო ავტომობილში,რომელშიც შოთა შეადგეს, კიდევ ოცი ახალგაზრდა იყო..ყველა ძონძებში გახვეული,ზოგი ფეხშიშველი,ზოგი ხის ქოშებით.

სადამის რვა საათზე,სადგურ სამტრედიიდან ეშელონი რომ დაიძრა აღმოსავლეთისაკენ,შოთამ ირი სიტყვა დასწერა გაგეთის ნახევზე:„მშვიდობით,მე მივდივარ.. ვაჟი თუ დაიბადის „ნესტორი" დაარქვით,მამიჩემის სახელი"..

სადგურ იანეთში ჩამოხტა,მეზობელ მებუფეტეს ბარათი გადასცა და აძრუდ ეშელონს გამოუდგა.

მაგრამ,უცაბედად,დიანგაზის ისარს წამოჰკრა ფეხი და კისერი და ტანი ვაგონის გოგირწყვილმა გააშორა ერთიმეორეს...

ა ნ ი

.....

ХХХХХХХХХХХХХХХХХХХХХХХХХХХХХ

.....

მკითხველთა

საყურადღებოდ!

მიმეორებით გამრავლებულს ჩვენს კრებულში,რომელსაც იგი საბოლოდ გადავათვალიერეთ,გაკარულია საკმაო რიცხვი კორექტურული შეცდომებისა. რომლც ჩანს,ამ მეთოდით ბეჭდვის დროს, შეცდომების თავიდან აცილება ძნელია. კატივცემული ჩვენი მკითხველები კრებულში შეხვდებიან ასოების გადახტომ-გადმოხტომის რამოდენიმე შემთხვევას. მაგალითად :„ჟურნალ-გაზეთთა"-ს ნაცვლად სწერია „ძურნალ-გაზეთთა". „ჟანი" და „ძიდი" საბეჭდ მანქანაზე ერთმანეთის მეზობლად არიან მოთავსებულნი და ბეჭდვის დროს თითი,ხანდახან,ძალა-უნებურად შეცდომას აკეთებს. ასეთს შეცდომებს ჩვენი გულისხმიერი და კეთილი მკითხველები გვაკატიებენ.

მაგრამ,სამწუხაროდ,კრებულში გაკარულა უფრო მსხვილი შეცდომებიც,რომელიც აქვე გვსურს გავასწორით:

1)- პირველ გვერდზე,მეორე სვეტში,ბოლოდან მეორე სტრიქონში უნდა იყოს:„თავისუფალ მსოფლიოს და მის წინამძოლ ქვეყნებს".

2)- მეთე გვერდზე,პირველი სვეტის პირველ სტრიქონში უნდა იყოს: „ მეტად წმინდა მოკყრიბას მოითხოვს".

3)- მე-29-ე გვერდზედ,პირველ სვეტში,მეთვრამეტე სტრიქონში: „მათ ბრალდებიდათ საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის შექმნა და აჯანყებისათვის სამხედრო სამზადისი."

4)- გვ.45,მეორე სვეტი,ზევიდან მეოცდაორე სტრიქონში უნდა იყოს:„ არც ერთს ერს უფლება არ ეძლევა".

.....

ХХХХХХХХХХХХХХХХХХХХХХХХХХХХХ

გამომცემელი:საქართველოს დამოუკიდებლობის ამერიკული საბჭო.

მთავარი რედაქტორი:ეფ.ტ.კობახიძე

.....

ХХ